# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 დეკემბერი, 2011 წელი.

№232 (6863)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ნაცების ჰიპოთეტური კანდიდატი და სკოლის დირექტორის პროტეჟეები




3

## „სოფლის მშენებელთა“ მორიგი „ტინგიცობა“,

ანუ მაგ სიმართლით გაგიმარჯოთ, „გამოკითხვის“ შემკვეთ-შემსრულებლებო!

## გამოკითხულთა უმრავლესობა პრემიერად ბიძინა ივანიშვილს ისურვებდა

საქართველოს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 26,1% პრემიერ-მინისტრად 2013 წლიდან ბიძინა ივანიშვილს ისურვებდა.

როგორც კვლევის შედეგების პრეზენტაციისას ინსტიტუტის წარმომადგენელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა აღნიშნა, კითხვაზე – ვის ისურვებდით პრემიერ-მინისტრად 2013 წლიდან, 24,2%-მა მიხეილ სააკაშვილი დაასახელა, მესამე ადგილზე 7,8%-ით არის ირაკლი ალასანია, მეოთხეზე – 6,8%-ით გიორგი თარგამაძე, ხოლო მეხუთეზე – 6,4%-ით გიგი უგულავა.

იაგო კაჭკაჭიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის პრემიერობის მხარდამჭერთა რიცხვი „ნაციონალური მოძრაობის„ მხარდამჭერთა რიცხვს ჩამოუვარდება, რაც ნიშნავს, რომ პარტიის მხარდამჭერთა შორისაც მოიძებნებიან ისეთები, ვინც სააკაშვილის გაპრემიერებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

კითხვაზე, ვის ისურვებდით საქართველოს პრეზიდენტად ამ პოსტიდან მიხეილ სააკაშვილის წასვლის შემდეგ, გამოკითხულთა 31,8% უპასუხებს, რომ ბიძინა ივანიშვილს, 12,7% ასახელებს გიგი უგულავას, 9,3% კი ირაკლი ალასანიას. გიორგი თარგამაძე 7,1%-ით მეოთხე ადგილზეა, ხოლო 23,9%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

ინტერპრესნიუსი

## ქართული სოფელი გვერის მდგომარეობაში!..

4



## ამ სიმღერებს არაერთხელ შევასრულებთ აფხაზეთში

9




## ჰილარი კლინტონსა და პუტინს შორის შავმა კატამ გაირბინა

4

## მლიქვნელობა ქვეყანას ღუპავს...

5

## საქართველოს ოცნება – თავისუფლება, გამთლიანება, განვითარება!

6

ვითომ გველაზიკება?!

## ნინო ჩხობაძე: ლაზიკას მშენებლობა ბუნებრივ კატაკლიზმებს გამოიწვევს



**მედია-კავშირ „ობიექტივს“ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე ახალი ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ესაუბრა.**

მისი თქმით, კოლხეთის ეროვნული პარკი ჭაობების სისტემაა და შესაბამისად, მასზე ქალაქების მშენებლობა დაუშვებელია. შავი ზღვის სანაპირო ზომაზე მეტად მოწყვლადია და მასზე მაღალსართულიანი ნაგებობები არ არის რეკომენდებული. ნახევარმილიონიანი ქალაქი კი საკმაოდ დიდია. ასეთ შეფასებებს აკეთებს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ყველა სპეციალისტი.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქალაქი ფოთი ჭაობზე აშენდა და დღეს მისი დიდი ნაწილი წყალქვეშაა მოქცეული. სერიოზული პრობლემებია ანაკლიასა და ყულევთან მიმართებაშიც, რადგან ისინი, ასეთივე ზონას განეკუთვნებიან. კოლხეთის დაბლობი ზღვის დონიდან ნულოვან ნიშნულს ქვემოთ არის, ამ ტერიტორიაზე მშენებლობები კი ბუნებრივი ზონების მოშლას საჭიროებს, რაც გახდება წინაპირობა იმისა, რომ ზღვა დაიპყრობს ხმელეთს“, — აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

მანვე განაცხადა, რომ ქალაქის მშენებლობა ჭაობების დაშრობას საჭიროებს, რასაც ბუნებრივ კატაკლიზმებამდე მივყავართ. საქართველოში ჭაობები ერთხელ უკვე დაშრა ხრუშჩოვის გეგმის მიხედვით და მკვდარი ტერიტორიები მივიღეთ, რომელიც აღარც ჭაობია, არც საძოვარი, არც საცხოვრისად გამოდგება და არც სოფლის მეურნეობისთვის.

როგორც „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარე ამბობს, საქართველოში ჭაობების ეკოსისტემა ჯერჯერობით შენარჩუნებულია, რის გამოც, შავი ზღვა ჯერ კიდევ არ არის „მკვდარი“, ხოლო თუკი ჭაობები მოიშლება შავ ზღვაში თევზი აღარ იარსებებს.

„ჭაობის მოშლა, შავი ზღვის სანაპიროზე, დაკავშირებულია გლობალურ კატასტროფასთან. ისმის კითხვა, რამდენად გავუძლებთ ჩვენ შავი ზღვის შემოსვლას სანაპიროზე, შეიძლება ამან გამოიწვიოს ისეთი კატაკლიზმები, რომ დავკარგოთ ტერიტორიები“, — ამბობს ნინო ჩხობაძე.

იმისთვის, რომ საზოგადოებამ უკეთ წარმოიდგინოს რა საფრთხეებზეა საუბარი, გარემოს დაცვის სპეციალისტმა კოლხეთის ჭაობი სენდვიჩს შეადარა:

„კოლხეთის ჭაობი სენდვიჩივით არის, მიწა და წყალი ერთმანეთს ენაცვლება. წყალს თუ ამოვიღებთ მიწა ჯდება, დაბლა იწევს და ზღვა შემოდის“.

ჩხობაძემ ქიმიურ საფრთხეებზეც ისაუბრა, რაც შეიძლება 1942 წელს შავ ზღვის ფლოტის დისლოცირებისას ჩაძირულმა უამრავმა კრეისერმა გამოიწვიოს.



„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარემ იაპონიის მაგალითიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ რამდენიმე წამში დაინგრა ქალაქი, რომელსაც ყველა გამაგრებითი და თავდაცვითი პროცედურა უმაღლეს დონეზე ჰქონდა ჩატარებული. შავი ზღვის ზოლს კი ახალი ნაგებობების გარეშეც ბევრი პრობლემა აქვს.

ნინო ჩხობაძეს პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად საზოგადოების ჩართულობა მიაჩნია. ამბობს, რომ მოსახლეობამ უნდა ამოიღოს ხმა, გვერდით დაუდგეს ადამიანებს, ვისაც შესწავლილი აქვს ეს პრობლემა და აცნობიერებს საფრთხეებს. ხოლო ამ პროცესში არასამთავრობო სექტორს შეუძლია მობილიზება გაუკეთოს ექსპერტებს, ვინც იცის, თუ როგორ უნდა მოხდეს საკითხის შესწავლა და შეფასება.

მან გარემოს დაცვის სამინისტროს ჩართულობაზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ ამგვარ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა მიიღოს, რადგან საქართველო დიდი საფრთხის ქვეშ არის და გააჩნია თითქმის ყველა ბუნებრივი კატასტროფის რისკი.

„სამწუხაროდ, იმ რეფორმის შედეგად, რაც ჩატარდა გარემოს დაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით, მისი ფუნქცია შეიკვეცა. სამინისტროში გააჩნიათ გარკვეული კომპეტენციები, მაგრამ ეს კომპეტენციები შეზღუდულია. თუ ჩვენი გზა არის ევროპა, თანამედროვე მსოფლიო, გარემოს დაცვის სამინისტრო უნდა განაგებდეს ნებართვებს ისეთ ინიციატივებზე, როგორიც ახალი ქალაქის მშენებლობაა და მისი ხმა უნდა სარგებლობდეს ვეტოს უფლებით, რადგან ასეთი რამეების გაკეთება ძვირად დაუჯდება ქვეყანას.“

ნინო ჩხობაძემ პროექტის ავტორებს ურჩია, პირველ რიგში გაეკეთებინათ შეფასება, რაც კარგად აჩვენებს, რამდენად მიზანშეწონილია ყულევსა და ანაკლიას შორის ქალაქის აშენება.

მანვე გაიხსენა შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებამ სპეციალისტთა რჩევები არ გაითვალისწინა.

„გაუაზრებელი ნაბიჯები გადაიდგა „მზიურის“ შემთხვევაში, არ იყო გათვალისწინებული რეკომენდაციები და კლდე იშლება ისე, რომ ძვირადღირებული ბადეებიც არ შველის. არ არის საქართველო ისე გალატაკებული, რომ მეცნიერული პოტენციალი არ ჰქონდეს, უბრალოდ უნდა ჰკითხონ მათ. თუკი მოხდება ამ ქალაქის აშენება, დაგვრჩება მხოლოდ დეკორაცია, საბჭოთა მონუმენტალიზმის მსგავსი შედეგი, რომელსაც ვერ გავიგებთ, რატომ ავაშენეთ. ამ პროცესებს კი უკან ვერ დავაბრუნებთ,“ — განაცხადა ნინო ჩხობაძემ.

საზღვარი

# ცოცხალი ადამიანების ნაცვლად, „მკვდარ“ აპარატებს დადგამენ

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ლამის ყოველდღე აცხადებს, რომ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე ტვირთბრუნვის მონიტორინგს შვეიცარიული მხარის მიერ დაქირავებულიკომპანია განახორციელებს, მაგრამ როგორი იქნება ეს მონიტორინგი? ძალიან უბრალო ენით რომ ვთქვათ, ეს იქნება ყოვლად არასერიოზული პროცესი. საზღვრებზე დაიდგმება რაღაც აპარატები, რომლებიც ფაქტებს აღნუსხავენ (ან „ვერ აღნუსხავენ“ სხვადასხვა ტექნიკური ხარვეზების გამო) და მორჩა. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში იქ ევროპელთაგან არავინ იქნება, რათა სათანადო შეხმიანება მოახდინონ.**



„შემიძლია, ერთი რამ გითხრათ: ამ შეთანხმების თანახმად, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებზე და სავაჭრო გამშვებ პუნქტებზე ტვირთბრუნვის მონიტორინგს შვეიცარიული მხარის მიერ დაქირავებული კომპანია განახორციელებს“, — აცხადებს პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე.

მსო-ში რუსეთის გაწევრებასთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმების ფარგლებში საზღვრებზე მხოლოდ ელექტრონული მონიტორინგი განხორციელდება და ადამიანები არ იდგებიან. „იქ არ იქნებიან ადამიანები, ეს იქნება ელექტრონული მონიტორინგი“, — დაადასტურა მანჯგალაძის ნაუბარი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემაც.



მისივე ინფორმაციით, შვეიცარიულმა მხარემ საქართველოს გადმოსცა ნუსხა იმ კომპანიებისა, რომლებმაც შეიძლება, მონიტორინგი განახორციელონ, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიციების შეჯერება, ჯერჯერობით, არ მომხდარა.

კალანდაძე უარყოფს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უკვე გამოვლინდა ერთ-ერთი კომპანია, რომელიც მონიტორინგს განახორციელებს. „ეს სიმართლეს არ შეესაბამება, თუმცა გამორიცხული არ არის, მონიტორინგი სწორედ დასახელებულმა კომპანიამ განახორციელოს“, — დასძინა მან.

ექსპერტებისთვის საზღვრებზე მხოლოდ ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ნოდარ ხადურმა განაცხადა, ქართულ მხარეს სერიოზული მუშაობა დასჭირდება იმისთვის, რომ ხელშეკრულებაში, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდება, ყველა რისკი იქნას გათვალისწინებული.

„როგორც ჩანს, საზღვრებზე ცოცხალი ადამიანები არ იდგებიან. ამასთან, რუსეთმა კოდორის ხეობაში ახალი გზა გახსნა, სადაც არავინ იდგება და შესაბამისად, ის არ გაკონტროლდება. გარდა ამისა, რუსეთიდან აფხაზეთში ტვირთის შეტანა შესაძლებელია გემით. სოხუმის და ოჩამჩირეს პორტებსა და გაგრაში კი არავინ დგას და არავინ შეამოწმებს.

იქნებ, ხელისუფლებას თავიდანვე უთხრეს ამის შესახებ, ჩვენ კი ინფორმაცია არ გვაქვს. მოტყუებული მაშინ ხარ, როცა რაღაცას დაგპირდებიან და მეორე მხარე პირობას არ შეასრულებს, ანუ გეტყვიან ერთს და აკეთებენ მეორეს. ჩვენ უბრალოდ ფაქტი შეგვრჩა — საზღვრებზე არანაირი ცოცხალი მონიტორინგი არ იქნება“, — აღნიშნა ხადურმა.

მის მსგავსად, სრულყოფილი კომენტარის გაკეთება უჭირს ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში დავით ნარმანიას.

„უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, რასთან გვაქვს საქმე, ანუ დოკუმენტში რეალურად რა პირობები იყო ჩადებული და რას მოიცავდა ის საქართველოსთვის. ხელისუფლება პერიოდულად აკეთებდა სხვადასხვა განმარტებებს, რაც ჩვენთვის ინფორმაციის მთავარი წყარო იყო, ამიტომ თუ ხელისუფლება სხვა რამეს ავრცელებდა და დოკუმენტში სხვა ეწერა, არ ვიცი.

თუკი დოკუმენტში სხვა რამ ეწერა და შემდგომ სხვა რამეზე მოხდა შეთანხმება, ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის. ეს ამ შემთხვევაში შუამავლების პრობლემაც იქნება და დეტალების გარკვევის შემდეგ უფრო სრულყოფილი განცხადებების გაკეთებას შევძლებთ“, „ განუცხადა სააგენტო „პირველს“ ნარმანიამ და იქვე დასძინა, რომ საზღვრებზე მხოლოდ ელექტრონული მონიტორინგი საკმარისი არ იქნება, რადგან ელექტრონულ აპარატს შეუძლია, ფაქტები დააფიქსიროს, მაგრამ რეაგირებისთვის ადამიანური რესურსია მნიშვნელოვანი.

კოლეგებისგან განსხვავებით, საკითხის პოლიტიკურ სარჩულზე ამახვილებს ყურადღებას ექსპერტი შოთა მურღულია, რომლის აზრით, საზღვრების როგორც ელექტრონული, ისე ფიზიკური პირების მიერ კონტროლი იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც თავად ფაქტი -დოკუმენტში საზღვრების თუნდაც გეოგრაფიული კოორდინატებით აღნიშვნა.

**გიორგი ბექაური**

ინფორმაცია

## თინა ხიდაშელი: საგანგებო სამსახურების გამოძახება ფასიანი გახდება!

**თბილისის საკრებულოს დეპუტატის და „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის განცხადებით დედაქალაქში სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო და სამაშველო სამსახურების გამოძახება ფასიანი გახდება.**

**როგორც გუშინდელ ბრიფინგზე თინა ხიდაშელმა განაცხადა, უახლოეს მომავალში საგანგებო სამსახურების გამოძახება სატელეფონო ნომერ 112-ის საშუალებით მოხდება. თითოეული ზარის ღირებულება ფიზიკური პირისთვის 20 თეთრი, ხოლო იურიდიული პირისთვის 50 თეთრი იქნება. თუ მოქალაქე მობილური ტელეფონიდან გამოიძახებს აღნიშნულ სამსახურს და ყოველ თვეში გამოძახებათა რაოდენობის მიხედვით ფასი მიაღწევს 5 ლარს, კიდევ დამატებითი გადასახადის გადახდა მოუწევს.**







**თინა ხიდაშელის განმარტებით გამოძახება იქნება ფასიანი, მაგრამ მომსახურებას აღნიშნული სამსახურები მოქალაქეებს უფასოდ გაუწევენ. მისი თქმით, სამსახურები და ნომერი 112 შს სამინისტროს დაექვემდებარება.**

**„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ ყოველწლიურად შს სამინისტრო 10 მილიონი ლარის მოგებას მიიღებს. თინა ხიდაშელი სამინისტროს სთხოვს გასცეს პასუხი, თუ რატომ გახდა საჭირო ნომრის 112 შემოღება და გამოძახების ფასიანად ქცევა.**

ინტერპრესნიუსი

### როცა მელას თავის კუდი მოწმედ მოჰყავს

# ნაცების ჰიპოთეტური კანდიდატი და სკოლის დირექტორის პროტეჟეები



**ხელისუფლება და „ქრისტიან-დემოკრატები" თავის დამშვიდებას იმ კვლევების შედეგებით ცდილობენ, რომლის ოფიციალური ვერსია ჯერ არ გამოქვეყნებულა და ორი კვირის განმავლობაში არც გამოქვეყნდება.**

**ამის მიუხედავად, მედიაში მაინც გაჟონა კვლევის შედეგებმა და თუკი, გამოქვეყნებული მონაცემებით ვიმსჯელებთ, ადვილი მისახვედრი იქნება, ვისი მეშვეობით გავრცელდა არაოფიციალური შედეგები.**

**IRI-ის თბილისის ოფისში აცხადებენ, რომ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დაკვეთით ბოლო პოლიტიკური კვლევა IPM-მა და „გელაპმა" ჩაატარეს.**

**არსებული ინფორმაციით, გამოკითხვა 27 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე ჩატარდა. გამოიკითხა 4 ათასი რესპონდენტი 18 წელს ზემოთ.**

„კვლევა ჩვენ დავუკვეთეთ, შემსრულებლები კი IPM და „გელაპი" იყვნენ. გამოკითხვა რამდენიმე თემას მოიცავს, მათ შორის პოლიტიკას, ეკონომიკას, ნატოს, ევროკავშირს. ჩვენ კვლევის პრეზენტაციას მხოლოდ პარტიებისთვის გავმართავთ, მედიისთვის კი, ვაშინგტონში ჩვენი სათავო ოფისი დაახლოებით ორ კვირაში გამოაქვეყნებს", – აცხადებენ IRI-ში.

ქართულმა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა" გუშინ დილით გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ მისთვის ცნობილი გახდა ამ კვლევების შედეგები. **მისი ინფორმაციით, ამ კვლევის თანახმად, საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერის გადალახვას მხოლოდ სამი პოლიტიკური სუბიექტი ახერხებს – „ნაციონალური მოძრაობა", ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ბლოკი და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა".**

კითხვაზე, **„ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს,** შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: **„ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი – 32%, ბიძინა ივანიშვილის – 27%, გიორგი თარგამაძე – 10%, 2-2% შალვა ნათელაშვილი და ირაკლი ალასანია.**

კითხვაზე, **„ვინ არის ყველაზე სანდო ოპოზიციონერი ლიდერი",** პასუხები ასეთია: **გიორგი თარგამაძე – 22%, ბიძინა ივანიშვილი 21%, შალვა ნათელაშვილი – 4%, ირაკლი ალასანია – 3%.**

მოგვიანებით ინფორმაცია სახელისუფლებო ტელევიზიებმაც გაავრცელეს, სადაც უკვე სხვა შედეგები გამოქვეყნდა.

მათი ინფორმაციის თანახმად, კითხვაზე – **„ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას დაუჭერდით მხარს?"** შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: **„ნაციონალური მოძრაობა" – 42%, ბიძინა ივანიშვილის პარტია – 18%, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" – 8%.**

ტელევიზიების ინფორმაციით, გამოკითხვის მიხედვით პოლიტიკოსებს შორის რეიტინგში მიხეილ სააკაშვილი 74%-ით ლიდერობს.

საპარლამენტო უმრავლესობის ინფორმაციით, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევების თანახმად, მიხეილ სააკაშვილის ნდობის რეიტინგი 70%-ის ფარგლებშია, „ნაციონალურ მოძრაობას" ამომრჩევლების მთლიანი რაოდენობიდან 42% უჭერს მხარს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოკა გაბაშვილმა განუცხადა და დასძინა, რომ IRI-ს კვლევების დღევანდელი შედეგები დიდად არ განსხვავდება წინა შედეგებისაგან და „ნაციონალური მოძრაობა" კვლავ ლიდერობს.

მისივე თქმით, კვლევა ჩატარებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაბაშვილის განცხადებით, სხვა პარტიების რეიტინგებზე კომენტარს ვერ გააკეთებს.

ასევე, გაბაშვილის ინფორმაციით, IRI -ს კვლევების შედეგით, საქართველოს მოქალაქეებს არსებულ პრობლემებს შორის პირველ ადგილზე კვლავ უმუშევრობა მიაჩნია და მოსახლეობის პრიორიტეტები ხელისუფლებისას ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა.

როგორც დავით ბაქრაძე აღნიშნავს, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ რეიტინგებში **„ნაციონალური მოძრაობის ჰიპოთეტური კანდიდატიც კი უსწრებს ოპოზიციის რეალურ კანდიდატებს".**

დავით ბაქრაძის განცხადებით, ყველას უნდა ესმოდეს, რომ კვლევის ამ ნაწილში საუბარია ჰიპოთეტურ კანდიდატზე, როგორსაც არასოდეს არ აქვს ისეთი მხარდაჭერა, როგორიც კონკრეტულს. თუმცა, ბაქრაძესთვის ბუნებრივი და სრულიად გასაგებია, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ასეთი კანდიდატიც კი, ოპოზიის ყველა კანდიდატს ასწრებს.

„ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" კი IRI-ის კვლევებში ბევრი სიმპტომატური და გასათვალისწინებელი სიახლე დაინახა.

როგორც ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარემ, გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, კვლევებიდან ჩანს, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად სამი სუბიექტი დარჩა, რომელსაც შანსი აქვს, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის 5%-იანი ბარიერი გადალახოს – „ნაციონალური მოძრაობა", ბიძინა ივანიშვილი და „ქრისტიან-დემოკრატები".

გიორგი ახვლედიანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბიძინა ივანიშვილი გეგმავდა პოლიტიკური სპექტრის პოლარიზებას და მან ეს მართალც მოახდინა. თუმცა, ახვლედიანის შეფასებით, ეს მოხდა ოპოზიციურ პარტიებში შესრუტვის ხარჯზე. ამ „შესრუტულ პოლიტიკურ" პარტიებში კი გიორგი ახვლედიანმა ის პარტიები დაასახელა, რომლებიც დღეს ბიძინა ივანიშვილთან არიან გაერთიანებული.

ახვლედიანმა მნიშვნელოვანი უწოდა ნდობის რეიტინგსაც და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ოპოზიციურ ლიდერებს შორის ნდობის რეიტინგში პირველ ადგილზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი გიორგი თარგამაძეა.

**„ეს შედეგი სერიოზულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. რაც შეეხება პარტიულ რეიტინგს, პირველი და მეორე არჩევანის ჯამი 27%-ია, რაც იმის მანიშნებელია, რომ „ქრისტიან-დემოკრატებს" სერიოზული რესურსი აქვთ მხარდაჭერის მოსაპოვებლად",** – აღნიშნა ახვლედიანმა.

ამასთან, მას არც ის უკვირს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგში პირველი ადგილი „ნაციონალების" ლიდერმა დაიკავა.

როგორც იგი აღნიშნავს, „სრულიად ნათელია, როგორ საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფება მთელი საქართველო, აქვე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ თბილისში ეს რეიტინგი ასე არ არის".

გიორგი ახვლედიანს მნიშვნელოვან გარემოებად მიაჩნია ის ფაქტიც, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე გამოკითხულთა 75% აპირებს მისვლას. მისი თქმით, ეს ციფრი სერიოზულად გაზრდილია წინა კვლევებთან განსხვავებით, რაც ნიშნავს, რომ ხალხი ცვლილების ცივილური გზით მომხრეა და ნაკლებად ფიქრობს კომბალზე, ნაჯახსა და რევოლუციაზე.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, პარტია „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია კი ამ კვლევებს უნდობლობას უცხადებს და ამბობს, რომ **„საქართველოში კვლევის შედეგების გაყალბება ისევე, როგორც არჩევნების გაყალბება, ტრადიციად იქცა".**

როგორც ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, გარკვეული ორგანიზაციები კვლევებს მართლაც ატარებენ, თუმცა შემდეგ ციფრებით მანიპულირება, „კაბინეტებში" ხდება.

მისი თქმით, ხელისუფლება, როგორც წესი, მათდამი ლოიალურ კანდიდატურებს უმატებს ხოლმე მაჩვენებლებს, რეალურად დაპირისპირებულების მიწასთან გასწორებას ცდილობს. ბაღათურიამ რეიტინგების შედეგები სკოლის ურთიერთობებსაც შეადარა.

„დირექტორის პროტეჟეებს ნიშანს უმატებენ ხოლმე, ასე ხდება სკოლებში ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მიმართებაში", – განაცხადა ბაღათურიამ და ხაზი გაუსვა, რომ **შეუძლებელია ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი ისეთი იყოს, როგორც ამ კვლევებიდან ჩანს.**

„თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი „ქრისტიან-დემოკრატებს" **„ამორალური საქციელის ჩადენაში"** ადანაშაულებს.

**„იმდენად არასანდოა ხოლმე ასეთი კვლევების გამოჩენა, რომ უკვე სანდოობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სამწუხაროა ის, რომ კვლევის ჩამტარებლებმა ვერაფრით ვერ შეძლეს, რომ მათ მიერ ჩატარებული კვლევების კონფიდენციალურობა შეენარჩუნებინათ. ანუ, აქ ხდება შემდეგი რამ - დაინტერესებული პარტიები სათავისოდ გაცხრილულ შედეგებს აწვდიან საინფორმაციო საშუალებებს და შემდეგ ხდება ამ შედეგების ტირაჟირება.**

**როგორც იცით, გუშინ გამოქვეყნდა ბატონი კაჭკაჭიშვილის და კიდევ სხვა ექსპერტების მიერ დაფუძნებული ინსტიტუტის კვლევები. ეს კვლევა იყო სამიათას-კაციანი და ასახავს იმ პოლიტიკურ მოლოდინებს, რაც ქვეყანაში არის გაჩენილი ბატონი ივანიშვილის შემდეგ. მაგრამ ესენი თავის კვლევას თავად გამოაქვეყნებენ.**

**ამ შემთხვევაში კი კვლევის გამომქვეყნებელი არის ან ხელისუფლება ან „ქრისტიან-დემოკრატები". მე უფრო ვფიქრობ, რომ ეს ქდმ-ს გამოგდებულია, თუ გავითვალისწინებთ გუშინდელ პარლამენტის სხდომას, სადაც უმრავლესობის ლიდერმა დაადასტურა ის მოსაზრება, რომ ქდმ მათ ესაუბრება მთელი საზოგადოების და მთელი ოპოზიციის ზურგს უკან დეპუტატების გაზრდასთან დაკავშირებით.**

**ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს კვლევებიც მათი „გადმოგდებულია", რომლის აბსურდულობაშიც დარწმუნდება ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამას თვალს გადაავლებს",** – აცხადებს ცაგარეიშვილი.

ამის დამადასტურებლად ცაგარეიშვილი იმ ფაქტს ასახელებს, რომ ზოგან „ქრისტიან-დემოკრატების" შედეგები პროცენტულად არ ფიქსირდება და ზოგან დაფიქსირებულია, თანაც ეს მაჩვენებლები ერთმანეთს არ ემთხვევა.

**„მარტივი მისახვედრია, – თუ ადამიანი მხარს უჭერს რომელიმე პარტიას ან პოლიტიკურ ძალას, ეს ხომ ნიშნავს, რომ მას ენდობა? აქ კი ურთიერთგამომრიცხავი მაჩვენებლებია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს კითხვები კონტექსტიდან ამოგლეჯილია. კვლევა არის საკმაოდ რთული სოციოლოგიური მოვლენა და ასე კონტექსტიდან ამოგლეჯილად საუბარი არ შეიძლება. ეს არის ძალიან ამორალური საქციელი და ვინ არის ამის ჩამდენი? რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში ხელს აძლევდათ „ქრისტიან-დემოკრატებს",** – აცხადებს ცაგარეიშვილი.

**თეონა ხარაბაძე**

### პროგნოზი

# „სოფლის მშენებელთა" მორიგი „ტინგიცობა",

## ანუ მაგ სიმართლით გაგიმარჯოთ, „გამოკითხვის" შემკვეთ-შემსრულებლებო!

**ერთი ფრთიანი ფრაზისა არ იყოს, – ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკოო, – საქართველოში ძალიან კარგად იციან, ვინც არის და რისი შემძლე-გამკეთებელიც გახლავთ ნაცმოძრაობას ჩახუტებული და ვითომ მიუკერძოებელი „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი".**

მან თავადაც კარგად იცის, რა „ავტორიტეტიც" აქვს ხალხში და ამიტომაც განაცხადა მისმა თბილისის ოფისმა ხაზგასმით – გამოკითხვა ჩვენი ინსტიტუტის შეკვეთით IPM-მა და „გელაპმა" ჩაატარესო.

იმ გამოკვლევაზე მოგახსენებთ, რომლის შედეგებიც გუშინ პრესაში გამოქვეყნდა და, რომელიც 27 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე ჩატარებულა. 4 ათასი სრულწლოვანი მოქალაქე გამოუკითხავთ.

მკითხველი ისედაც მიხვდება, ვინ არის მისი რეალური შემკვეთი და, ამის გათვალისწინებით, როგორი იქნება კვლევის შედეგებიც. ამიტომ მათზე ყურადღებას არ გავამახვილებ (ვინც დაინტერესდება, ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში – **„ნაცების ჰიპოთეტური კანდიდატი და სკოლის დირექტორის პროტეჟეები"** გაეცნობა) **და ერთსლა ვიტყვი:**

რუსეთში ახლახან ჩატარებულ პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ცნობილმა რუსმა მწერალმა ბორის აკუნინმა თავის ბლოგში გამოაქვეყნა პუტინისთვის მიწერილი წერილი, საიდანაც ერთი ციტატა მინდა მოვიყვანო:

**„მოსკოვის რომელი მცხოვრები დაიჯერებს, რომ „ედინაია როსიას" ხმა ჩვენს ქალაქში 46 პროცენტმა მისცა? ჩვენთან ხომ ამ პარტიას მხოლოდ თავად „ჟულიკები" და მათი მომხრეები უჭერენ მხარს და ეს კი უკვე სულ სხვა ციფრებია".**

და სწორედ ამ რეალური, „სხვა ციფრების" გათვალისწინებით, მიმართავს მწერალი ვლადიმერ პუტინს:

**„ბარემ რამდენიმე სიტყვას ვლადიმერ ვლადიმერის ძესაც ვეტყვი. მე თქვენ მეცოდებით. ამას ყოველგვარი სარკაზმის გარეშე გეუბნებით. არ არის საჭირო, იყო ნოსტრადამუსი, თქვენი ბედი რომ დაინახო. აუცილებლად შეიქმნება სიტუაცია, რომ ქვემოთ უკვე აღარ სურთ, მაღლა კი უკვე გაიხრწნენ, ფული კი უკვე გათავდა. ქვეყანაში დაიწყება არეულობა. კეთილად წასვლა თქვენთვის უკვე დაგვიანებული იქნება. თქვენ სროლის ბრძანებას გასცემთ და დაიღვრება სისხლი, მაგრამ მაინც ჩამოგაგდებენ. მუამარ კადაფის ბედს არ გისურვებთ, ამას გულწრფელად გეუბნებით. წასულიყავით, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გაქვთ"...**

– ეს რუსეთია და იქაური ამბები თუ ციფრობრივი მონაცემები ჩვენ არ გვეხება, ჩვენთან სულ სხვა განწყობა და ვითარებაა, ხალხი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს არა მარტო ნაცმოძრაობას, არამედ თვით მის ჰიპოთეტურ პრეზიდენტობის კანდიდატსაც კი და ამას „გელაპის" მიერ ჩატარებული ბოლო გამოკვლევის შედეგებიც ნათლად აჩვენებსო, – იტყვიან ნაცები უთუოდ.

**ისემც დაგიმშვენდეთ ცხვირი და, თუ მაგ სიმართლით ივლით, ამ გამოკითხვა-კვლევის შემკვეთ-შემსრულებლებო, არა მგონია, იმაზე უკეთესი შეფასება დაიმსახუროთ და იმის უმჯობესი სამომავლო პროგნოზი „გეჭყანებოდეთ", ვიდრე ბორის აკუნინმა „გამოუწერა" „ედინაია როსიას" და მის ჰიპოთეტურ კი არა, რეალურ პრეზიდენტობის კანდიდატს ვლადიმერ პუტინს!**

...რომ გგონიათ, ახალდაგებულ ლიანდაგებზე მქროლავ ექსპრესში ვსხედვართო, სინამდვილეში უკვე დეპოში ხართ, ხალხი კი, თავის რეალურ კანდიდატთან ერთად, სულ სხვა მატარებელშია, ბატონებო!

**რუსლან რუსია**

⦾ გონიერთა გასაგონად!

**სოფლის მეურნეობის საკითხების განხილვას „კავკასიურმა თანამშრომლობამ“ მიმდინარე წელს თავის მიერ ორგანიზებული რიგით მეოთხე სემინარი მიუძღვნა. შეგახსენებთ, რომ „კავკასიური თანამშრომლობა“ რუსულ-ქართული საექსპერტო ორგანიზაციაა, რომლის მიზანს წარმოადგენს რუსეთსა და საქართველოს შორის ტრადიციულად მჭიდრო სამეცნიერო და ჰუმანიტარული კავშირების აღდგენა. გარდა ამისა, „კავკასიური თანამშრომლობა“ ახორციელებს პროექტებს ქართველ კოლეგებთან ერთად, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების კვლევასთან დაკავშირებით, და მხარდაჭერას აღმოუჩენს საექსპერტო დიალოგს საქართველოს შიგნით. სემინარი სახელწოდებით „სოფლის მეურნეობა საქართველოში – პრიორიტეტი თუ ზედმეტი ტვირთი“ – სწორედ ამ კვლევების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.**

# ქართული სოფელი გმირის მდგომარეობაში!..



საექსპერტო ორგანიზაციის – „კავკასიური თანამშრომლობა“ – მიერ ჩატარებული მორიგი სემინარი: „სოფლის მეურნეობა საქართველოში – პრიორიტეტი თუ ზედმეტი ტვირთი?“

სასტუმრო „ვერე პალასში“ ჩატარებულ სემინარში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დარგის აღიარებულმა სპეციალისტებმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორებმა (სასოფლო-სამეურნეო წარმოების განხრით), ბატონებმა: პაატა კოღუაშვილმა (პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრი), დემურ ბახტაძემ (პროფესორი, სურსათის ექსპერტიზისა და უვნებლობის სპეციალისტი), ავთანდილ ოქროცვარიძემ (პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი), რევაზ გოგოხიამ (პროფესორი, თსუ ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი), გიორგი დოლონაძემ (თსუ პროფესორი), გიორგი ზიბზიბაძემ (აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი), ანზორ მესხიშვილმა (პროფესორი, უძრავი (მიწის) ქონების ექსპერტი), თეიმურაზ კანდელაკმა (პროფესორი, აგრარული უნივერსიტეტი, სატყეო მეურნეობის სპეციალისტი), ბადრი რამიშვილმა (პროფესორი, სასურსათო ბიზნესის და სტრატეგიული მენეჯმენტის დარგის სპეციალისტი), ზურაბ რევიშვილმა (პროფესორი, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების უფროსი).

სემინარს ესწრებოდნენ და სიტყვით წარსდგნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები – „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, „თავისუფალი დემოკრატების“ ექსპერტი რევაზ გიგილაშვილი და „ეროვნული ფორუმის“ ექსპერტი თემურ მაისურაძე. სემინარი ჩვეულებისამებრ მიჰყავდათ „კავკასიური თანამშრომლობის“ ქართული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ნანა დევდარიანსა და გულბაათ რცხილაძეს. სემინარს სტუმრობდნენ პრესის ჟურნალისტები, აგრეთვე ეკონომისტი, თსუ პროფესორი ბ-ნი ნოდარ ხადური.

ყოველი გამომსვლელის სიტყვა იყო გამოკვეთილად კრიტიკული და პესიმისტური სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისადმი ამჟამინდელ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. თუმცა ეს არ იყო კრიტიკა კრიტიკისათვის ან ხელისუფლებისადმი გამომსვლელთა აპრიორი ნეგატიური განწყობით განპირობებული. ამგვარი კრიტიკა უფრო გამოწვეულია ქართული სოფლის მეურნეობის დღევანდელი სავალალო მდგომარეობით, რაც სტატისტიკის საშუალებითაც იოლად მტკიცდება. სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების აზრის გათვალისწინება სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება. მთავრობა ისევ იმყოფება გარკვეულ ეიფორიულ მდგომარეობაში და საზოგადოებას ეგზოტიკურ, მაგრამ არაფრის მომცემ იდეებს სთავაზობს, როგორიცაა, მაგალითად, ბური ინვესტორების მოზიდვა ან ამერიკული სიმინდის თესლით სასოფლო-სამეურნეო ბუმის შექმნა. სხდომის წამყვანმა გულბაათ რცხილაძემ აღნიშნა კიდეც, რომ გამართულ სემინარებზე მეტწილად ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკა ისმის, რაც წინასწარი განზრახვით არ ხდება. „კავკასიური თანამშრომლობა“ მზად არის, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც დაუთმოს ტრიბუნა კონტრარგუმენტებისათვის, თუკი ხელისუფლება საამისოდ მზად იქნება და არ მოახდენს განსხვავებული აზრის იგნორირებას, როგორც ეს აქამდე ხდება.

სემინარის მონაწილეებს შორის აქტიური დისკუსია გაიმართა სხვადასხვა საკითხზე. განსაკუთრებით დიდი დავა მოჰყვა სატყეო მეურნეობის პრობლემატიკის განხილვას. ერთ-ერთი გამომსვლელის მიხედვით, დღესდღეობით ტყეებისთვის მთავარ საფრთხეს ისევ ქართული მოსახლეობა წარმოადგენს, რომელსაც მთავრობამ ნება დართო, პირადი მოხმარებისათვის ფაქტობრივად უკონტროლოდ მოიპოვოს შეშა. ეს პროცესი, გამომსვლელის შეფასებით, არანაკლებ დამანგრეველია, ვიდრე უწინ ხე-ტყის უკანონო ექსპორტი იყო. თუმცა გამომსვლელს სხვა სპეციალისტები შეეკამათნენ და აღნიშნეს, რომ დღესდღეობით ქართველ გლეხზე მეტად საფრთხეს წარმოადგენს უცხოელი ინვესტორები (ისინი ძირითადად ჩინეთიდან და ინდოეთიდან არიან), რომლებიც 50 წლამდე იჯარით იღებენ (ფაქტობრივად ყიდულობენ) საქართველოს სატყეო მასივებს. მეორეს მხრივ, უცხოელ ინვესტორებს ძირითადად არა მხოლოდ შეშა აინტერესებთ გასატანად, არამედ გარკვეული ჯიშის ხეების ძვირფასი მერქანი. ერთი გამომსვლელის სიტყვაში იმ აზრმაც კი გაიჟღერა, რომ სჯობს, უცხოელ ინვესტორებს ჰქონდეთ ტყეები გადაცემული, რადგან ქართული მოსახლეობა ტყეს მეტ ზიანს აყენებს შეშით მოხმარებისთვისო (ამასთან დაკავშირებით აზრი გაიყო – უმცირესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ტყეები დღევანდელი კანონმდებლობით დაცულია მასობრივი ექსპორტისაგან, უმრავლესობა კი საწინააღმდეგო აზრისაა). ამასთან, გამომსვლელის დაკვირვებით, ამგვარ არანორმალურ სიტუაციას ისევ მთავრობა ქმნის, როდესაც სოფლებში ბუნებრივი აირი ისევე ძვირია, როგორც დიდ ქალაქებში. სოფლის მოსახლეობას არ აქვს გაზის საფასურის დაფარვის საშუალება, ამიტომ ბუნებრივ აირს მეტწილად ისევ შეშას ამჯობინებენ, რაც ტყეების გაკაფვას იწვევს. თუმცა სემინარზე გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ უცხოელი ინვესტორების მოზიდვის ამჟამინდელი პრაქტიკა მაინც მანკიერია და მთლიანობაში გაუმჭვირვალი, იგი საზოგადოების კონტროლს ნაკლებად ექვემდებარება.

საქართველოში გაუქმდა მეტყევის ინსტიტუტი და შეიქმნა ე. წ. „რეინჯერთა სამსახური“, რომელიც არასპეციალისტებით დაკომპლექტდა. „რეინჯერებს“ სამსახურში მისაღებად პრაქტიკულად მხოლოდ ფიზიკური ნორმატივების დაკმაყოფილება ევალებათ. ყოველივე ეს უდიდეს საფრთხეს შეიცავს ქართული ტყისათვის, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს ფარავს, არ არის დიდი საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის. ქართულ ტყეს სხვა დანიშნულება აქვს, ვიდრე მაგალითად, რუსეთის, შვედეთის, კანადის და სხვ. ტყეებს, რომლებიც ინდუსტრიულ მასშტაბებს აკმაყოფილებს. საქართველოს ბუნების, რელიეფის, ნიადაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ტყე არ შეიძლება არსებით საექსპორტო წყაროდ იქცეს, მთაგორიან ქვეყანაში ეს ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას გამოიწვევს.

სემინარზე აღინიშნა მეტად მნიშვნელოვანი მომენტი: საქართველო პრინციპში არ არის მძლავრი საექსპორტო პოტენციალის მქონე აგრარული ქვეყანა, რადგან დედამიწაზე ცნობილი 52 ნიადაგის ტიპიდან საქართველოში მოცემულია 47 მათგანი. ეს ძალიან დიდი მრავალფეროვნებაა საქართველოსთანა მცირე ტერიტორიის ქვეყნისათვის. ნიადაგების ამგვარი მრავალფეროვნება კი ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნებას, მაგრამ ამავდროულად მათი რაოდენობის მოკრძალებულობას. საქართველოს ბევრი სასოფლო კულტურა ეყოფა შიდა მოხმარებისათვის, ეს ღვთის მიერ არის ბოძებული – აღინიშნა სემინარზე, მაგრამ დიდი ამბიციები საერთაშორისო ბაზრების თვალსაზრისით საქართველოს თავისი ბუნებრივი პოტენციალიდან გამომდინარე, ვერ ექნება.

გარდა ზემოთ აღნიშნული საკითხებისა, გამოიყო საქართველოში სარწყავი სისტემის გაჩანაგების სავალალო ფაქტი. დიდი ყურადღება დაეთმო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა საკუთარი პარტიების პოზიცია გამოხატეს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით. ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ მთავრობა არ უსმენს სპეციალისტებს და არ ითვალისწინებს კომპეტენტურ აზრს. სოფლის მეურნეობას კი საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, განვითარებული იქნება თუ განვითარებადი ეს ქვეყნები, საჭიროებს სახელმწიფოს მხარდაჭერას და ნაწილობრივ პროტექციონიზმს.

სემინარის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს მის ორგანიზატორებს და გამოთქვეს სურვილი, რომ მომავალში კიდევ მოხდეს სოფლის მეურნეობის თემატიკაზე სემინარის გამართვა, სადაც უფრო ვიწროდ იქნება ცალკეული საკითხები განხილული. ერთი სემინარი არ ჰყოფნის ისეთ მასშტაბურ თემას, როგორიც სოფლის მეურნეობაა. „კავკასიური თანამშრომლობის“ პროექტის ხელმძღვანელებმა სპეციალისტებსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს თანადგომა აღუთქვეს და მოუწოდეს, რომ თუკი მათი მხრიდან იქნება სურვილი, „კავკასიური თანამშრომლობა“ მათ ინიციატივებს მხარდაჭერას აღმოუჩენს, კერძოდ, მოიზიდავს კოლეგა-სპეციალისტების და დამხმარე ლიტერატურას მოზიდვა რუსეთიდან, დაეხმარება სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, ნაშრომების გამოქვეყნება-გავრცელებაში და ასე შემდეგ.

სემინარზე გაკეთებული მოხსენებები, აგრეთვე სტენოგრამული ჩანაწერი ახლო მომავალში ტრადიციულად გამოქვეყნდება „კავკასიური თანამშრომლობის“ ვებ-გვერდზე **www.georgiamonitor.org.**

⦾ ინფორმაცია

## ჰილარი კლინტონსა და პუტინს შორის შავმა კატამ გაირბინა

**პუტინმა** განაცხადა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთში საპარლამენტო არჩევნები არადემოკრატიულად ჩატარდა, რეალურ მასალებს არ ეყრდნობოდა, თუმცა გარკვეულ ძალებს რუსეთის შიგნით მოქმედების სიგნალი მისცა. პუტინი მიიჩნევს, რომ მოქალაქეების უმრავლესობას რუსეთში მოვლენების განვითარება ისე, როგორც ეს ყირგიზეთსა და უკრაინაში მოხდა, არ სურთ.

– მე ჩემი ამერიკელი კოლეგების პირველ რეაქციას დავაკვირდი. პირველი, რაც გააკეთა სახელმწოფო მდივანმა, შეაფასა არჩევნები და განაცხადა, რომ უსამართლო და არასინდისიერია, თუმცა მას არჩევნების შესახებ დამკვირვებლების მასალები არ ჰქონდა. ამით მან გარკვეულ ძალებს ქვეყნის შიგნით სიგნალი მისცა, ეს სიგნალი მათ კარგად გაიგონეს და სახელმწოფო მდივნის მხარდაჭერით აქტიური საქმიანობა წამოიწყეს, – განაცხადა პუტინმა.

პრემიერმა სხვა სახელწიფოების დავალების შემსრულებლების მიმართ, რომლებიც ცდილობენ რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას, კანონის გამკაცრება მოითხოვა.

– ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენი სუვერენიტეტი დავიცვათ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ კანონის სრულყოფაზე და პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე მათთვის, ვინც უცხო ქვეყნის ამოცანას ასრულებს შიდასახელმწიფოებრივ პროცესებში, – განაცხადა პუტინმა.

* * *

**სოციალური** კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა რეგიონებში ჩატარებული კვლევის შედეგები გაავრცელა.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა პარტიულ რეიტინგებზე კვლევა რეგიონებშიც ჩაატარა. კვლევის თანახმად, „ნაციონალური მოძრაობის„ რეიტინგი სამცხე ჯავახეთში 51%-ს შეადგენს, ქვემო ქართლში – 46, 3% და სამეგრელო-ზემო-სვანეთში – 43%.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ძალის რეიტინგი იმერეთში 48,4%-ია, მცხეთა-მთიანეთში – 44,6%-ით და თბილისში – 41,3%-ით.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, ორივე პოლიტიკურ ძალას დაახლოებით თანაბარი პოლიტიკური წონა აქვს და ერთმანეთს მძაფრ კონკურენციას უწევს ყველა დანარჩენ რეგიონში. კვლევის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ „ნაციონალური მოძრაობა„ ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში ლიდერობას ძირითადად არაქართული მოსახლეობის ხმების ხარჯზე ახერხებს. ქვემო ქართლის არაქართულ მოსახლეობაში მას 92,6%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში არაქართველთა 60,8% უჭერს მხარს.

კვლევაში ნათქვამია, რომ მმართველ პარტიას მნიშვნელოვანი წონა აქვს დასახელებული რეგიონების ქართულ მოსახლეობაშიც, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში. სამცხე-ჯავახეთის ქართულ მოსახლეობაში „ნაციონალური მოძრაობის„ რეიტინგია 48,2%, ხოლო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ძალის 20,2%. ქვემო ქართლის ქართულ მოსახლეობაში მათი რეიტინგი შესაბამისად, 34,7% და 30,7%.

კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ ქვემო ქართლში ბიძინა ივანიშვილის პარტიისადმი ქართული მოსახლეობის მხარდაჭერაში ლომის წილი რუსთავს ეკუთვნის.

ინტერპრესი

◉ მედროვეთა გასაგონად!

# მლიქვნელობა ქვეყანას ღუპავს...

რა ჩემი საქმეა, პოლიტიკოსი ხომ არა ვარო, — გავიძახით ხშირად და გვინდა გვერდიდან ვუცქიროთ იმ მოვლენებს, რომლებიც, გვერდი იქით იყოს და ხშირად პირდაპირ ჩვენს მხრებს აწვება აუტანელი სიმძიმითაც კი... პოლიტიკოსი ნამდვილად არა ვარ, თუმცა, რას ნიშნავს პოლიტიკოსობა, რა არის პოლიტიკოსობა? პოლიტიკოსია ყველა ის ადამიანი, ვინც სახელმწიფოს მართვაში იღებს მონაწილეობას, ან ქმნის ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას, რათა სახელმწიფოს მართვაში ჩაბმულ ადამიანებს დაეხმაროს და სწორი გზიდან აცდენის საშუალება არ მისცეს. ადამიანები, ანუ ქვეყნის ბინადარნი კი, რომლებიც ცხოვრობენ, არსებობენ ქმნიან, მოღვაწეობენ, შრომობენ ამა თუ იმ პოლიტიკური თეორიებით, კანონებით, მიმართულებით შექმნილ სამყაროში, მეტად თუ ნაკლებად, ძალაუნებურად, ნებსით თუ უნებლიეთ ჩაბმულნი არიან პოლიტიკაში. ამ მოსაზრების უტყუარი დადასტურება არის არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობა. მაგრამ , ჩვენ, რიგითი მოქალაქენი მაინც თავს ვარიდებთ ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებს და გავიძახით, რა ჩვენი საქმეა, პოლიტიკოსები ხომ არა ვართო. ის კი გვავიწყდება, რომ ესა თუ ის პოლიტიკა იმ წესრიგისთვის ყალიბდება, რომელშიც ადამიანებმა უნდა ვიცხოვროთ. პოლიტიკოსები არა ვართ, მაგრამ მოქალაქეები ხომ ვართ, პოლიტიკა ხომ თითოეული ჩვენგანის სასიცოცხლო ფონს და არეალს ქმნის... ერთი სიტყვით, მინდა ვთქვა, რომ პოლიტიკის ყალიბშია მოქცეული თითოეული ჩვენგანის ცხოვრება.

მთელი ეს საუბარი წამოვიწყე როგორც ვითომ პოლიტიკისაგან შორს მდგომმა ადამიანმა. დიახ, არა ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ მოქალაქე ხომ ვარ. ხომ მინდა, ჩემი ქვეყანა ისეთივე კარგი და მოწესრიგებული იყოს, როგორიც სხვა მოწინავე, განვითარებული ქვეყნებია, მინდა რომ ჩვენი ხალხი კეთილდღეობაში ცხოვრობდეს, ისეთ კეთილდღეობაში, რომელსაც საკუთარი შრომით, საკუთარი სურვილით თავად შექმნის. თავად მოიგონებს თავისი სულიერი სამყაროსთვის, მატერიალური ცხოვრებისთვის შესაფერ კანონებს, რომელთაც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაკანონების შემდეგ უდრტვინველად, ყოველგვარი ძალადობის გარეშე დაემორჩილება. რამდენად სასწაულად არ უნდა მოეჩვენოს მკითხველს, მაინც ჩემთვის სავსებით მისაღებ აზრამდე მივედი: პოლიტიკა ხალხმა უნდა შექმნას, მაგრამ პოლიტიკამ ხალხისაგან უნდა შექმნას მოქალაქეები. ეს პოლიტიკის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. მაგრამ როგორ იქნება ეს ყველაფერი, თუ თავად პოლიტიკაში მომრავლდებიან მლიქვნელები, მომხვეჭელნი, თვალთმაქცნი და მატყუარები, რომლებიც ხელმძღვანელ პოლიტიკოსებს სწორი მიმართულებისაკენ კი არ უბიძგებენ, არამედ კუდს უქიცინებენ იმათ და ახალ სოციოლოგიურ-ფილოსოფიური თეორიებით საკმევლს უკმევენ მცდარ და ხალხისთვის, ქვეყნისთვის საზიანოდ გადადგმულ ნაბიჯებს. ძალიან რთული გარემო იქმნება. ისეთი გარემო, სადაც ხალხი ვერასოდეს მოქალაქეებად ვერ გარდაიქმნება, პოლიტიკა კი ნაგვიანდება, მძიმდება და კარგავს თავის მოვალეობა-ფუნქციას. ზემოთ მყოფნი, თავისებურად ერთს ქადაგებენ, მაგრამ ათას ჭირვარამგადატანილი, გამოცდილი, მრავლის მნახველი და რეალობის გრძნობით გენეტიკურად დაჯილდოებული ხალხი შესანიშნავად ხედავს დასანახს და ისმენს და აანალიზებს გაგონილს.

ის, რომ ბევრმა ყოფილმა, გაზულუქებულმა საბჭოთა მოღვაწემ ახალ პოლიტიკურ გარემოში დაკარგა ძველი პრივილეგიები, ამ ნიადაგზე გაგულისდა და გაიბუტა, ერთი გამაგებინე, ბატონო სოციოლოგ-ფილოსოფოსო, რა შეხებაშია იმ ათასობით დაჩაგრულ, რიგით მშრომელთან, რომელმაც ქარხნების დანგრევასა და უმეტეს შემთხვევაში, გაუაზრებლად, უმიზნოდ და უმიზეზოდ ორგანიზაციების დაკეტვა- დახურვის გამო დაკარგა სამუშაო ადგილი, დარჩა უმუშევარი, უპენსიო, უშემოსავლო (ამ დროს საშემოსავლო გადასახადებით გახადეს „უზრუნველყოფილი"!). ასეთთა რიცხვი ათი და თუნდაც ორასი როდია, არამედ ათასეულებს ითვლის. ეს ხომ სტატისტიკაა, რომელსაც ვერსად წაუვალთ!

ის, რომ მშრომელ გლეხებს ვითომ დაურიგეს მიწები და მერე წაართვეს, ამაზე რა ვთქვათ... და თუნდაც დაეტოვებინათ, თანამედროვე ტექნიკით მომარაგება გაუადვილეს, სოფლის გათანამედროვებას, სოფლის მეურნეობის აყვავებასა და აღორძინებას ხელი შეუწყვეს თუ რა! იქნებ, ის არის ხელშეწყობა, კახელი გლეხების ნასისხლ- ნაოფლარ ყურძენს კაპიკებადაც რომ არ იბარებენ, ან ის არის საამაყო, ქართლში საუცხოო ჯიშის ვაშლის მოსავალი რომ ჩაულპა მოსახლეობას. არა მგონია ამის შესახებ დედაქალაქელებს არაფერი გაგვეგოს და არ გვსმენოდეს. არც ის უნდა იყოს მმართველობაში მყოფი პოლიტიკოსის სატრაბახო, რომ ქართული ჯიშის და ქართულ მიწაზე მოყვანილ კიტრს და პამიდორს, ხახვს და ნიორს ვერ იშოვი ბაზარში, ალბათ, არც ის, უცხოური და გაუგებარი შემადგენლობის პროდუქტით გადატვირთულ, ეგრეთ წოდებულ სუპერმარკეტებში, ჩვენი პატარებისთვის საკვებს რომ ვერ შეიძენ არა მხოლოდ უხარისხობის გამო, არამედ სიძვირის გამოც.

დიახ, ნებისმიერ საქონელზე დღითი დღე მატულობს ფასი. სავალალო მდგომარეობაში არიან ჩვენი ხანდაზმულები და არა მარტო ისინი... უმუშევართა რიგები იზრდება და არ კლებულობს. ქვეყანაში აშკარად მოიმატა თურმე ბავშვთა სიკვდილიანობამ!. ამ უკანასკნელი შემზარავი ფაქტის შემდეგ მართლაც უხერხულია მოიგონო დღევანდელი ქართული პოლიტიკის გამამართლებელი რაიმე თეორია.

ერთი სიტყვით, რომელ ერთ იმ შეუჩვეველ მოვლენაზე გავამახვილოთ ყურადღება საბჭოთა დროის ადამიანებმა, რომლებსაც სხვა თუ არა, ქართული პამიდორი და კიტრი სანატრელი არასოდეს გვქონია!.. სხვათა შორის, მშენებლობებიც არ გვიკვირს. ჯერ კიდევ ორმოციანი წლების ადამიანებს სალაპარაკოდ ჰქონდათ ომის შედეგად მიწასთან გასწორებული დიდი ქალაქების ორ- სამ წელიწადში აღდგენა-აყვავება, საქართველოში კი მეტალურგიული ქალაქის – რუსთავის აღორძინება, რასაც ათასეულთა დასაქმება მოჰყვა შედეგად. მაგრამ მაშინაც კი, თავისუფალ, სამართლიან, ღირსეულ ქვეყანაში ცხოვრების იდეით გათანგული ქართველი ხალხი გულში სათუთად ინახავდა ამ გრძნობებს და მოთმინებით ელოდა გამარჯვებისთვის შესაფერისი დროის მოსვლას. მშენებლობები და გზების მოპირკეთება ერთია, მაგრამ ადამიანისთვის ყველაზე დიდი ფასეულობა თავისუფლება, ღირსება და სამართლიანობაა...

მკითხველო, არ გაგიკვირდეთ ხსენებულ თემებზე ჩემი ასეთი პათოსი. ის ერთ-ერთი არხის „აქცენტებმა" და მათმა გმირებმა გამოიწვია. ამ გადაცემაში სტუმრად სახალხო კრების წარმომადგენელი მეცნიერიც (ოპოზიციონერიძ ჰყავდათ, რომელიც ქვეყნის საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებს შეეხო, მაგრამ მალევე სიტყვა გადასცეს ერთ მჭევრმეტყველ, უნდა ვაღიარო, საკმაოდ ნიჭიერ სოციოლოგს, რომელსაც, თუ მოინდომებს, თამამად შეუძლია ქართულ სოციოლოგიურ მეცნიერებას სასიკეთო საქმე გაუკეთოს. საკეთებელი კი მართლაც ბევრია, მაგრამ ამ ჯერზე იგი თავისი ცოდნით და განათლებით შეუდგა მსმენელის დარწმუნებას იმაში რა დამთრგუნველად მოქმედებს თურმე ადამიანებზე ძველი ფორმაციის შეცვლა ახალი ფორმაციით, ადამიანებზე, რომელთაც წარსულში გარკვეული თანამდებობები, პოსტები, დამსახურებული თუ დაუმსახურებელი რეგალიები ჰქონდათ, რასაც სათანადო შეღავათებიც ახლდა და ახლა კი ეს ყველაფერი მოაკლდათ. ამაშია თურმე დღევანდელი საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი. კი, რა თქმა უნდა, იყვნენ ასეთები (ახლაც რომ ბლომად არიან, აი ეს არის გულდასაწყვეტიძ. მაგრამ ჩვენ ხომ ამ დროს, ყველას გვახსოვს და მასაც უნდა ახსოვდეს, რომ სწორედ ინტელექტუალები (მწერლები, პოეტები, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებიძ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, ცხადად თუ შეფარულად ებრძოდნენ ყოველივე ძველს, დახავსებულს, მონურსა და მლიქვნელურს, ყველაფერს, რაც ხელს უშლიდა საქართველოს ცივილიზაციის გზაზე წინსვლით მსვლელობას. სწორედ მათი იდეებით განათებულმა გზამ მოგვიყვანა დღემდე და დღესაც გვიბიძგებს უკეთესი ხვალის, უკეთესი მომავლის, უკეთესი საქართველოს ასაშენებლად. მადლობა ღმერთს რომ ადამიანის ღირსების უპირველესობის იდეას საკმაოდ მრავალი მემკვიდრე აღმოუჩნდა დღევანდელ საქართველოში.

წერილი თითქმის დამთავრებული მქონდა,როდესაც მოვისმინე ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ ჟურნალისტ ეკა ბერიძესთან. კარგა ხანია, მსგავსი რამ პოლიტიკოსისგან არ მომისმენია. ასეთი მოაზროვნე ადამიანი რომ ქართულ პოლიტიკას შეემატა, უბრალოდ გახარებული კი არა, ამაყი და ბედნიერი ვარ! მადლობა უნდა ვუთხრა ჟურნალისტს, რომელმაც შეძლო და საუბარი ისე წარემართა, რომ მაყურებლის წინაშე გადაიშალა ამ იდუმალი რესპონდენტის, უკვე პოლიტიკოსისა და ჭეშმარიტად მოაზროვნე ადამიანის საინტერესო, დიდებული, ინტელექტუალური სამყარო. დარწმუნებული ვარ ასეთივე იქნებოდა ყველა მაყურებლის განცდა. მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?.. მეორე დღესვე მწარე ნაღველი დაგვაუფლა კიწმარიშვილ-ღლონტის სამარცხვინო დრამამ, რომლის მსგავსმა სიუჟეტებმა ბეწვის ხიდზე შეაგდეს ქვეყნის სწორი განვითარების ბედ-იღბალი.

მე მაინც მინდა თავდაპირველ თემას უნდა დავუბრუნდე, მლიქვნელთა ლეგიონის შემაკავებელ ბარიერს მეც შევმატო ერთი ხლართი მაინც ჩემი გულწრფელი სიტყვით და კალმით. არ არის ახლა კუდის ქიცინისა და ლაქუცის დრო. ვისაც ძალღონე შეგვწევს ვიმოქმედოთ იმ ათასობით გაჭირვებულის, დევნილისა და უსამართლოდ შეურაცხყოფილ ის გულისთქმით, რომელთაც ისევე ეკუთვნის ჩვენი სამშობლო, როგორც თითოეულ ჩვენგანს, თითოეულს – მმართველ პოლიტიკაში მოსულს, რომელთა წილად სამშობლო მიწისა და სიმდიდრის ყველაზე დიდი ნაწილი მოდის არცთუ დამსახურების შესაფერისად! იქნებ ფეხიზლებმა მიძინებულები გამოვაფხიზლოთ, პირში მთქმელებმა მლიქვნელებს შევუქახოთ, რა დროს მავანთა და ბატონთა ფეხის გულების ფხანაა. რა დროს მტრის ძაგების მონოლოგების თხზვაა, ეს მაშინ, როცა საქმე სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის და ჩვენი მომავლის ყოფნა-არყოფნის საკითხს ეხება!

**გულნარა სტურუა**



◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

*გუშინდელი გაზეთებიდან*



### „ეროსი კიწმარიშვილი ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელია"

– ამბობს ჟურნალისტი ნანა დევდარიანი, – ეროსი კიწმარიშვილთან დაკავშირებით მუდამ ასეთი ვითარება იყო, დაწყებული მაშინ, როცა ლევან მამალაძის თაოსნობით ეს კომპანია დაფუძნდა. ჯერ იყო ტელეკომპანია „რუსთავი", რომელიც ქალაქ რუსთავში დაფუძნდა და ქალაქის მერიის ფულით, მთელი აპარატურა მოზიდული იყო მერიის მიერ. კიწმარიშვილმა მაშინაც გადაწყვიტა რომ ეს ფული მარტო მას ეკუთვნოდა.

**„ახალი თაობა".**

### „მე შევხვდი ივანიშვილს ერთიერთზე და პირდაპირ ვუთხარი"...

– ამბობს კინორეჟისორი გიორგი შენგელაია, – ხალხი ბიძინას ხათრით უგულავებსა და ბოკერიებს ვერ მისცემს ხმას. არავითარი კომპრომისი, აქ არ შეიძლება სააკაშვილისა და ბოკერიას გაყოფა, ეს ერთი ნაგავია.

**„ალია".**

◉ ინფორმაცია

### დეპუტატები მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნაზე მსჯელობენ

**მაჭახელას ეროვნული პარკი შეიქმნება ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე, საერთო ფართობით 8 733 ჰექტარი.**

**პარლამენტში შესულია „მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც არეგულირებს მაჭახელას ეროვნული პარკის შექმნას და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საფუძვლებს.**

**„მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ" კანონპროექტის ავტორების აზრით, ამ პროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, იგი ხელს შეუწყობს მაჭახელას ხეობაში ტურისტულ-რეკრიაციულ ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრიაციული პოტენციალის სრულად გამოყენებას.**

**ამ კანონპროექტს პარლამენტი უახლოეს სესიაზე განიხილავს.**

ᲮᲝ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ



# საქართველოს ოცნება —

პოლიტიკურ ბრძოლაში ახლადჩაბმული ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ყოველი მხრიდან გაისმა გეოპოლიტიკური ხასიათის კითხვები: **ა) როგორ აპირებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას? ბ) როგორი დამოკიდებულება აქვს ნატოს მიმართ? გ) როგორ დაალაგებს ურთიერთობას რუსეთთან?**. — დიახ, ეს აინტერესებს ყველას, როგორც ქვეყნის შიგნით — ფართო საზოგადოებას, ისე ქვეყნის გარეთ (ქართულ დიასპორაძ, დასავლეთის პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებს, რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს.. ეს სწორიც არის, ვინაიდან, პასუხები ამ კითხვებზე ნათელს მოფენს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ორიენტაციას, დაგვანახვებს, თუ რა პოლიტიკური კურსს აირჩევს იგი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. პრინციპში, ზევით მოცემული სამივე კითხვა არსობრივად და პოლიტიკურად ერთ სიბრტყეში, ერთ პაკეტში შეიძლება განვიხილოთ.

საქმე ის არის, რომ სსრკ-ის რღვევის პერიოდში და შემდგომ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისას (დასავლეთისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ქართულ-რუსული ურთიერთობების პრობლემა ამ პერიოდს უკავშირდება და არა უფრო შორეულ ისტორიულ წარსულს!ძ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების გზაზე, ქართულ-რუსული დიალოგი და ურთიერთთანამშრომლობა არ შედგა! მეტიც, ჯერ კიდევ საკავშირო მთავრობამ საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკა აწარმოა ცხინვალის რეგიონში, როდესაც ხელი შეუწყო ეთნოკონფლიქტის გაღვივებას და ცალსახად ოსი სეპარატისტების მხარე დაიჭირა. ამას მოჰყვა, საქართველოს მხრიდან, — როგორც ეროვნული მოძრაობის ლიდერების ნაწილის, ისე ადგილობრივი ქართველი კომუნისტი მმართველების წინდაუხედავი ნაბიჯები, რამაც საფუძველი ჩაუყარა შემდგომ წლებში ოსურ-ქართული კონფლიქტის სისხლიან განვითარებას, რომელიც, ფაქტობრივად „გაიყინა“ 1992 წლის ივლისის დაგომისის სამშვიდობო ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, იგი იქცა ე.წ. „გაყინულ კონფლიქტად“ და, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რუსეთი ამ და ყველა სხვა ორმხრივ თუ საერთაშორისო დოკუმენტებში, ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის იურისდიქციას „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე! ანუ შემუშავდა „სამშვიდობო ფორმატი“, რომლის მონაწილეებიც იყვნენ საქართველო, რუსეთი, ეუთო და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები. ეს ფორმატი მუშაობდა 2008 წლის 26 აგვისტომდე, მანამ, სანამ რუსეთმა სააკაშვილის გაუაზრებელი მოქმედების წყალობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა აღიარა“!..

ასევე დრამატულად წარიმართა მოვლენები აფხაზეთის მიმართულებით.. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ აფხაზებთან მიღწეული კომპრომისული შეთანხმებები არ გახდა საკმარისი დაძაბული მდგომარეობის განსამუხტად, მით უმეტეს, მოსკოვში, ჯერ კიდევ სათავეში მყოფი კომუნისტები განაგრძობდნენ ეთნიკური დაპირისპირების ინსპირირებას. 1991 წლის დეკემბერში, თბილისში დაწყებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა, 1992 წლის 14 აგვისტოს საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა იმდროინდელ სახელმწიფო საბჭოს ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, — ქართული სამხედრო ფორმირებები (მძიმე ტექნიკაძ გადაადგილდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც მოხდა საბრძოლო შეტაკება აფხაზურ რაზმებთან, დაიღვარა სისხლი და ასე დაიწყო ომი აფხაზეთში, რომელშიც, 1993 წლის სექტემბერში გამარჯვება რუსეთის ფედერაციის დახმარებით დარჩათ აფხაზ სეპარატისტებს... მიუხედავად ჩვენი მარცხისა, 1994 წელს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით რუსეთი ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ჩვენს იურისდიქციას აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე (როგორც, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში!ძ! ამასთანავე, კონფლიქტის (ესეც „გაყინული კონფლიქტი“ გახდა!ძ მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, მასში ჩაერთო გაერო! ორივე რეგიონში, სამშვიდობო ხელშეკრულებების საფუძველზე დსთ-ს მანდატით განლაგდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები და გაეროს (აფხაზეთშიძ და ეუთოს („სამხრეთ ოსეთში“ძ დამკვირვებლები! რუსეთმა, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა აღიარა“ 2008 წლის 26 აგვისტოს, ორი კვირის შემდეგ, რაც გაფორმდა სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს ხელშეკრულება?! ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ „არ აღიარა“ რუსეთმა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“, — 1992-93 წლებში, როცა, მაშინაც საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა სეპარატისტულ რეგიონებს?

რამდენიმე მიზეზი არსებობს ამის ასახსნელად. პირველი, ალბათ საგარეო ფაქტორი. დასავლეთი, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა კომუნისტური მმართველობისაგან ახლად განთავისუფლებული რუსეთის იმდროინდელ ხელისუფლებას, შეეწინააღმდეგებოდა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის ხელყოფას „დემოკრატი-



ული“ რუსეთისგან. და მეორე, რუსეთის ეს ქმედება, შეიძლება „მისაბაძი“ გამხდარიყო ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის, ანუ ისინიც მოითხოვდნენ „დამოუკიდებლობას“ და სხვა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის კავკასიის მონაკვეთი და მასში შემავალი 6 ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკა ესაზღვრება საქართველოს. კავკასიის ცენტრალური ქედი ყოფს ქართველ და ჩრდილოეთკავკასიელ ხალხებს. ამ მიმართულებას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის, იმიტომ, რომ სეპარატიზმის პრობლემები საფრთხეს უქმნიდა და უქმნის რუსეთის ფედერაციის ერთიანობას, რაც დადასტურდა რუსეთ-ჩეჩნეთის ორი ომით. ჯერ კიდევ, სსრკ-ის პერიოდში, როცა დაიწყო ყარაბაღის კონფლიქტი, ნათელი გახდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლაში, უპირველესი დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ფაქტორი იქნებოდა მასში შემავალ ავტონომიებში არსებული სეპარატისტული განწყობები, რომლებიც „იკვებებოდნენ“ რუსეთიდან!.. სსრკ-ის ხელმძღვანელები, მიუხედავად იმისა, რომ ხედავდნენ იმპერია უკვე „სულს ღაფავდა“, მაინც ცდილობდნენ ეთნიკური კონფლიქტების ინსპირირებას, რათა, გაემართლებინათ სსრკ-ის ცენტრალური ხელისუფლების არსებობის აუცილებლობა და დაპირისპირებულ მხარეთა „დაშოშმინების“ საბაბით, — „მშვიდობისმყოფელის როლში“ (სამხედრო ძალის გამოყენებაძ გვევლინებოდნენ! სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ეს „ტრადიცია“ რუსეთის ფედერაციამ განაგრძო. მიზანი იყო შემდეგი: საქართველო არ და ვერ გასულიყო რუსეთის გავლენის ზონიდან, გაწევრებულიყო დსთ-ში და რაც მთავარია, შენარჩუნებულიყო მისი სამხედრო ბაზები საქართველოში, — რაც შეიძლება დიდხანს!.. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში (1990-იანი წლებიძ რუსეთი თვითონ განიცდიდა უმძიმეს რყევებს, არსებობდა რუსეთის ხელისუფლებაში კომუნისტების დაბრუნების საშიშროება, ამიტომ დასავლეთი ყველანაირად ეხმარებოდა ე.წ. რუსულ დემოკრატიულ ძალებს (ელცინსძ, რათა მათ არ დაეკარგათ ხელისუფლება!.. აქედან გამომდინარე, ჩვენს პრობლემებზე და მათში რუსეთის ნეგატიურ როლზე დასავლეთი გარკვეულწილად „დუნედ“ რეაგირებდა (გაეროს არაერთი რეზოლუციაძ!.. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 1994 წელს შევიდა დსთ-ში, რუსეთმა მაინც არ გადადგა ნაბიჯი საქართველოს გასამთლიანებლად, რატომ? ვფიქრობ იმიტომ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, თუ, გამთლიანებული საქართველო „ერთ მშვენიერ დღეს“ პოლიტიკურ კურსს შეიცვლიდა, მაშინ რუსეთს არ ექნებოდა ქმედითი ბერკეტი საქართველოზე ზემოქმედების მოსახდენად! ბევრს მიაჩნდა, რომ მიზეზი შევარდნაძის „პროდასავლური“ პოლიტიკა იყო, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენდა მიმდინარე გამოწვევებისთვის საპასუხოდ შემუშავებულ ტაქტიკურ პოზიციას, — მას ხშირად, „ბალანსის“ პოლიტიკასაც უწოდებდნენ (გაუმართლებლადძ და შევარდნაძეს „პრორუსული“ პოლიტიკის გამტარებლადაც მოიხსენიებდნენ!.. თუმცა, შევარდნაძის პოლიტიკური კარიერის დასასრული ამაზე არ მეტყველებს!.. ასეა თუ ისე, შევარდნაძემ შეძლო და რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანას დაუდო საფუძველი, რომლის ბოლო აკორდი გახლდათ, სტამბოლის 1999 წლის ხელშეკრულებაზე რუსეთის პრეზიდენტის ელცინის ხელმოწერა!.. მოკლედ, რუსეთმა საქართველოდან გაიყვანა, — ვაზიანის, ახალქალაქის და ბათუმის სამხედრო ბაზები, მხოლოდ, გუდაუთის ბაზა „განაგრძობს ფუნქციონირებას“... აგრეთვე, შევარდნაძის ინიციატივით გადაიდგა პირველი ნაბიჯი ნატოსკენ... რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა, პუტინმა, საპასუხოდ დაიწყო საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში მოქალაქეების „პასპორტიზაციის“ პროცესი, ანუ, — რუსული პასპორტების „დარიგება“.. ამას მოჰყვა, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღება!..

2004 წელს, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აჭარაში შეიცვალა აბაშიძის ოდიოზური ხელისუფლება.. „რევოლუციური“ ხელისუფლების მიერ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით შემუშავდა „ჰუმანიტარული შტურმის“ სტრატეგია, რომელმაც, არათუ დადებითი შედეგი მოიტანა, არამედ ის არსებული, თითქმის აღდგენილი მეგობრული ურთიერთობა ოსებსა და ქართველებს შორის დარტყმის ქვეშ დააყენა, დაიღვარა სისხლი და დაინგრა ძლივს აღდგენილი ნდობა! სააკაშვილის ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ადმინისტრაციული ერთეული (ხელმძღვანელი დ.სანაკოევიძ შექმნა, „აალორძინა“ საბჭოთა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ და ახალგორის რ-ნიც „იქ აღმოჩნდა“, — რის შედეგსაც დღეს ვიმკით!. რუსეთთან წარმოებული პოლიტიკა კი, სულ უფრო და უფრო დაძაბულ ხასიათს იძენდა და 2006 წელს ძალიან გამწვავდა, რასაც რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია მოჰყვა, აგრეთვე, რუსეთმა გამოაცხადა ემბარგო ქართულ პროდუქციაზე!.. ამას დაემატა საერთაშორისო პროცესებში ახალი, ჩვენთვის არასასურველი ტენდენციების მხარდაჭერა დასავლეთის მხრიდან.., მხედველობაში მაქვს, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარი ცვლილებები, რომელიც „დაგვირგვინდა“ სერბეთის სახელმწიფოში (გაეროს წევრი!ძ შემავალი კოსოვოს ავტონომიური ოლქის „დამოუკიდებლობის აღიარებით“ აშშ-სა და ევროკავშირის მიერ, 2008 წლის 17 თებერვალს!.. შეიქმნა იმის საშიშროება, რომ აშშ-სა და ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებას რუსეთი მყისიერად უპასუხებდა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარებით“!.. მაგრამ, რუსეთმა ეს „აღიარებები“ უმალ არ მოახდინა, თითქოს ეძებდა საბაბს თუ მიზეზს, ან კიდევ, საქართველოს მხრიდან გარკვეულ წინადადებებს შექმნილ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით!.. 2008 წლის აგვისტომდე, გაიმართა სააკაშვილის შეხვედრები პუტინთან და გაპრეზიდენტებულ მედვედევთან მოსკოვსა და პეტერბურგში, მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვაჩვენა, უშედეგოდ... 2008 წლის აპრილში, ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე, საფრანგეთმა და გერმანიამ (აგრეთვე, „ძველი ევროპის“ სხვა ქვეყნებმაძ დაბლოკეს საქართველოსთვის მაპის მიცემა და მხოლოდ სამიტის რეზოლუციაში ჩაწერილმა წინადადებამ იმის თაობაზე, რომ საქართველო მომავალში, „ოდესღაც“ (ახლახანს, 9-10 ნოემბერს თბილისში ჩატარებულ ნატო-საქართველოს სხდომაზე, ეს „ოდესღაც“ ისევ დადასტურდა?!ძ გახდება ნატოს წევრი, როგორც შემდეგ გამოჩნდა, რუსეთის ხელმძღვანელების (პუტინის!ძ „მოთმინების ფიალა“ საბოლოოდ აავსო!.. იმის ნაცვლად, რომ რუსების და ოსების მხრიდან გახშირებულ პროვოკაციებზე საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი პრევენციული ზომები განეხორციელებინა, რის შესახებაც გამუდმებით აფრთხილებდნენ სააკაშვილს დასავლელი მეგობარი სახელმწიფო პირები, — სააკაშვილმა და მისი უახლესმა გარემოცვამ ავანტიურაზე წამოაგო მთელი ქვეყანა 2008 წლის 8 აგვისტოს, ჩაერთო რა, რუსეთთან ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში, რომელიც საქართველოს მარცხით დასრულდა 5 დღის შემდეგ!.. ხოლო, 2008 წლის 26 ავისტოს, რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა აღიარა“, რამაც, როგორც რუსები ამბობენ, — შექმნა „ახალი რეალობა“ სამხრეთ კავკასიის რეგიონში და საერთაშორისო ურთიერთობებში! ასე „გადაუხადა“ რუსეთმა „სამაგიერო“ დასავლეთს, უფრო სწორად აშშ-ს, — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ხარჯზე!

2008 წლის აგვისტოს ომის დეტალების განხილვა არ გახლავთ ჩემი მიზანი, ისე ცნობისთვის, დასავლელი პოლიტიკოსები და ექსპერტები სარგებლობენ ე.წ. ტალიავინის კომისიის დასკვნით და ევროპარლამენტის ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციით!. როგორც, 1990-იანი წლების, ისე 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად, აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში განხორციელდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რომლის შედეგადაც 400 000 ათასი დევნილი ადამიანი გაჩნდა ქვეყანაში!. მოკლედ, დღეს გვაქვს ასეთი პოლიტიკური სიტუაცია, 2008 წლის 8 აგვისტომდე არსებული სამშვიდობო ფორმატები კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებით აღარ არსებობს და მის დარღვევაში რუსეთი ადანაშაულებს საქართველოს, ხოლო საქართველო — რუსეთს, როგორც აგრესორს და ოკუპანტს! გარდა ამისა, რუსეთმა, ვენესუელამ, ნიკარაგუამ და კიდევ ორმა კუნძულოვანმა სახელმწიფომ, — ნაურუმ და ვანუატუმ — აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა აღიარეს“! თავის მხრივ, ცივილიზებული, დემოკრატიული სამყარო (აშშ, ევროკავშირიძ ამ რეგიონებს განიხილავს როგორც საქართველოს შემადგენელ ნაწილებს და ახორციელებს მათ მიმართ „არაღიარების პოლიტიკას“! ამის გარდა, კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიაზე მონიტორინგს აწარმოებენ მხოლოდ ევროკავშირის წარმომადგენლები, ვინაიდან მათ უფლებას არ აძლევენ, რომ უშუალოდ რეგიონის შიგნით შეძლონ ფუნქციონირება. ამასთანავე, შეწყვეტილია გაეროს და ეუთოს მისიების ოპერირება აღნიშნულ ტერიტორიებზე (რუსეთისა და სეპარატისტების მოთხოვნითძ. დღეისთვის, მოქმედებს ერთადერთი ე.წ. ჟენევის ფორმატი, რომლის არსებობის მანძილზე არანაირი წინსვლა მონაწილე მხარეების პოზიციებს შორის, არ შეიმჩნევა

***იმის ნაცვლად, რომ რუსების და ოსების მხრიდან გახშირებულ პროვოკაციებზე საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი პრევენციული ზომები განეხორციელებინა, რის შესახებაც გამუდმებით აფრთხილებდნენ სააკაშვილს დასავლელი მეგობარი სახელმწიფო პირები, — სააკაშვილმა და მისი უახლესმა გარემოცვამ ავანტიურაზე წამოაგო მთელი ქვეყანა 2008 წლის 8 აგვისტოს, ჩაერთო რა, რუსეთთან ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში, რომელიც საქართველოს მარცხით დასრულდა 5 დღის შემდეგ!..***

# თავისუფლება, გამთლიანება, განვითარება!

და არცაა მოსალოდნელი... დასავლეთი კი, თბილისისაგან რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებისა და ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივის შესახებ ინიციატივებს და ალტერნატიული სტრატეგიის შეთავაზებას ელოდება (სარკოზის გამოსვლა თბილისში!). სამწუხაროდ, იმედი იმისა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შენარჩუნების პირობებში (ნატოში გაწევრება) ამერიკის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს გამთლიანება, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, გაურკვეველი ვადით გადაიდო. არც, ავღანეთის კამპანიაში საქართველოს მონაწილეობა მიგვიყვანს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე. ნატოს წევრობაც გამორიცხეთ, რუსული ოკუპაციის პირობებში ეს საკითხი არც განიხილება! საქმე ის არის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რამდენად „წარმატებულიც“ არ უნდა იყოს სააკაშვილის ვიზიტები და გამოსვლები საერთაშორისო ორგანიზაციების ტრიბუნებიდან და როგორი სამშვიდობო ინიციატივებიც არ უნდა გაახმოვანოს მან, — რუსეთს (პუტინს!), მასთან დიალოგი არ სურს და როგორც ჩანს, პუტინის დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ არ შეიცვლება!.. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არიან ძალები, რომლებსაც სხვადასხვა ხედვა აქვთ ქვეყნის მთავარი პრობლემის გადაწყვეტასთან მიმართებაში.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რუსეთთან ერთი-ერთზე დარჩენა მოლაპარაკების მაგიდასთან, დასავლელი პარტნიორების გარეშე, აბსოლუტურად მიუღებელია! ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთმა აღადგინოს თავისი გავლენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ბალტიის სახელმწიფოების გამოცდილების პირდაპირი გადმოღება საქართველოსთვის არ გამოდგება, რადგანაც ბალტიის ქვეყნებს ნატოში შესვლისას თავის ტერიტორიაზე არ ჰქონდათ სეპარატისტული ავტონომიები, რომლებიც რუსეთზე იყვნენ ორიენტირებულნი! დღეს, რუსეთს ოკუპირებული და აღიარებული აქვს საქართველოს ისტორიული პროვინციების დამოუკიდებლობა. აშშ და ევროკავშირის სახელმწიფოები კი, ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთისაგან აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გაყვანას მოითხოვენ. ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმატში განიხილება საქართველოს საკითხი და ამით უნდა ვისარგებლოთ, ვინაიდან საქართველოს საკითხის გადაუწყვეტელობა სერიოზული ხელისშემშლელ ფაქტორია დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში. ფაქტია, რომ ჩვენი საკითხის ღიად დატოვება დიდი თავის ტკივილია როგორც რუსეთისათვის, ისე აშშ-სთვის და ევროპისთვისაც. საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს საკითხის განხილვა. ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ კულუარებში ხშირად სვამენ კითხვას: „რით „დავეხმაროთ საქართველოს?“ ეჭვგარეშეა, რომ საფრანგეთი და გერმანია საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის აზრის გაუთვალისწინებლად არანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. ნატოს წევრ ამ ორ დიდ სახელმწიფოს, თითქმის იდეალური ურთიერთობები აქვთ რუსეთთან. იმ შემთხვევაში, თუ ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმატში, საფრანგეთი და გერმანია შუამავლის როლს იკისრებენ, ვფიქრობ, რუსები რაციონალური თვალსაზრისიდან გამომდინარე (რუსეთს ჰაერივით სჭირდება დასავლეთის ინვესტიციები და ახალი ტექნოლოგიები), წავლენ კომპრომისზე, რომელსაც მათ ამერიკელებთან შეთანხმებით, ფრანგები და გერმანელები წარუდგენენ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ნატო და რუსეთი გახდნენ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და უსაფრთხოების გარანტორები (გარანტები)! რუსეთის საჯარისო ნაწილები გავლენ საქართველოს სეპარატისტული რეგიონებიდან, მათ ნაცვლად ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს ეგიდით ნატოს არაწევრი სახელმწიფოების საპოლიციო დანაყოფები განლაგდებიან. სამწუხაროდ, აფხაზები და ოსები ქართველებთან ინტეგრაციაზე რუსეთის გარანტიების (თუ გნებავთ, ზემოქმედების!) გარეშე არ წამოვლენ!. მოლაპარაკებების პროცესი უნდა წარიმართოს ნატო-რუსეთის საბჭოს ეგიდით და საფრანგეთისა და გერმანიის შუამავლობით და მეთვალყურეობით. ცხადია, რომ დღეს არსებული ჟენევის ფორმატი არ არის საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად. საჭიროა, რომ რუსეთმა არა მარტო ჯარები გაიყვანოს სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს შეთანხმების თანახმად, არამედ გააუქმოს საქართველოს რეგიონების „დამოუკიდებლობის აღიარება“, რომელიც მან 2008 წლის 26 აგვისტოს მოახდინა და როგორც ისინი აცხადებენ, ამით „ახალი რეალობა შეიქმნა“!! ამისათვის, აუცილებელია ახალი სტრატეგიული პროექტი, რომელიც რუსეთს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პროცესში თანამონაწილედ გახდის! წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი აპელირებას მოახდენს „კოსოვოს პრეცედენტზე“ (რუსები, არამართებულად ავლებენ პარალელს კოსოვოსა და ჩვენს რეგიონებს შორის) და არ გაითხოვს აფხაზეთის და ცხინვალის „დამოუკიდებლობის აღიარებას“! ამიტომაცაა საჭირო, რომ რუსეთი დაფიქსირდეს როგორც ერთ-ერთი გარანტორი. ვფიქრობ, რუსები ამაზე წამოვლენ რამდენიმე მიზეზის გამო, — საქართველოში არ იქნება ნატოს სამხედრო ბაზები. ქვეყნის შიგნით, ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებთან სათქმელი ექნებათ („მუნდირის ღირსება“), რომ რუსეთი, დასავლეთთან ერთად იქნება საქართველოს სახელმწიფოში შემავალი აფხაზებისა და ოსების ფართო უფლებების მქონე ავტონომიების უსაფრთხოების გარანტი. სეპარატიზმის „ვირუსი“, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ გადადის, რუსეთის მიერ „აღიარებული“ აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ჩრდილო კავკასიურ რესპუბლიკებში, — აღარ იარსებებს!



**რუსეთმა თუ არ გააუქმა ჩვენი რეგიონების „დამოუკიდებლობის აღიარება“, მაშინ, საქართველოს სუვერენიტეტი და ქვეყნის გამთლიანება მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი გააგრძელებს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ არაღიარების პოლიტიკას!** დასავლეთსა და რუსეთს შორის კომპრომისების და კონსენსუსის გარეშე, საქართველოს გაერთიანების საკითხი არ და ვერ გადაწყდება! რუსეთის მიერ, დეკლარირებულ „ახალ რეალობას“ — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“, — ჩაანაცვლებს დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ახალი ალტერნატიული სტრატეგია: ნატო და რუსეთი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოების, აფხაზების და ოსების ფართო უფლებების მქონე ავტონომიების გარანტები — ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში! ეს სტრატეგია, მისი განხორციელების შემთხვევაში, გახდება პრეზიდენტ ობამას მიერ ინიცირებული აშშ-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკის მაგალითი! **ბიძინა ივანიშვილს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ „გადატვირთვის“ პოლიტიკის ჭრილში, შესთავაზოს დასავლეთის ლიდერებს ახალი სტრატეგიული პროექტის რეალიზება. ეს იქნება პოლიტიკური გარღვევა არსებულ სტაგნაციურ მდგომარეობაში და იმავდროულად ქვეყნის მთლიანობის აღდგენის რეალური შანსი!** შეიძლება გარანტორების რიცხვის გაზრდაც, — მთავარია, დასავლეთმა იცოდეს ბიძინა ივანიშვილის პოზიცია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იგი მიმართავს დასავლეთის ლიდერებს — პრეზიდენტ ობამას, პრეზიდენტ სარკოზის და კანცლერ მერკელს საქართველოს საკითხზე და სთხოვს შუამავლობას რუსეთის მმართველებთან (პუტინთან!), რათა, — აშშ, რუსეთი, ნატო, ევროკავშირი და გაერო, — ერთად, გახდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სახელმწიფო სუვერენიტეტის და უსაფრთხოების გარანტები (გარანტორები). ბიძინა ივანიშვილს რომ აქვს, ასეთი წინაპირობები კიდევ დიდხანს აღარ გვექნება ქართველებს და ქვეყნის გამთლიანების საკითხიც „საბოლოოდ დაიგვიანებს“! „შუა უნდა გაიკრიფოსო“, — ვეთანხმები, ოღონდ, საშინაო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც შეეხება, საგარეო პოლიტიკას (გამთლიანებას), სწორედ შუალედური, დაბალანსებული და კომპრომისული კურსია საჭირო! ამის გახმოვანებისთვის, შესაბამისი დრო უნდა შეირჩეს, ვინაიდან, ყველასთვის მისაღები და გასაგები გახდეს ხელისუფლებაში მოსვლამდეც! მიმაჩნია, რომ ეს საქართველოს გამთლიანების ერთადერთი შანსია! ქართველებმა უნდა შევიგნოთ, რომ საქართველოს გამთლიანება საერთაშორისო გარანტიების გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ შეთანხმების საფუძველზე მოხერხდება ეს (ოსები და აფხაზებიც, რომ დაინახავენ „ძლიერთა ამა ქვეყნის“ საერთო ნებას საქართველოს საკითხის საბოლოო მოგვარებისათვის, მათთან, ჩვენი დიალოგიც შედეგიანი იქნება!)! რუსეთის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე იზრდება, უწინარესად, გლობალური ბირთვული უსაფრთხოების ჭრილში! რუსეთის ჩართულობის გარეშე, საქართველოს ტერიტორიის 20% დეოკუპაცია ვერ განხორციელდება! ამიტომ, ამ **მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ შედგეს დასავლეთის, რუსეთის და საქართველოს ინტერესების თანხვედრა!** აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი) დეოკუპაცია, — მოლაპარაკებების და ურთიერთგაგების ატმოსფეროში განხორციელდა! გაიხსენეთ, მთვრალი ელცინი, როგორ დირიჟორობდა ორკესტრს ბერლინში, კოლის თანდასწრებით! ავღანეთშიც, — დიალოგის რეჟიმი უძღოდა წინ ავღანეთის დეოკუპაციას! ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს მდგომარეობა გაცილებით მძიმეა და აი, რატომ. აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის ბალტიის ქვეყნებში, რუსეთს, ეთნიკურ უმცირესობებში სეპარატისტული მოძრაობების სახით დასაყრდენი არ ჰქონდა! რუსებმა მოახერხეს, რომ დასავლეთს ეთნოკონფლიქტის კვალიფიკაცია მიეცა რუსეთის მიერ ინსპირირებული მოვლენებისათვის საქართველოში! ამიტომაც გაიძახიან ფარისევლურად რუსი მაღალჩინოსნები — ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, რომ არ გვეღიარებინა აფხაზების და ოსების დამოუკიდებლობა, მაშინ ქართველები მათ გაანადგურებდნენო“! — დასავლეთი კი, „სტრატეგიული მოთმინებისკენ“ მოგვიწოდებს, მათ იციან, რომ პუტინი სააკაშვილს არ დაელაპარაკება. ამასობაში, აფხაზეთთან მიმართებაში გაჩნდა ასეთი ტერმინი — „ჩართულობა, აღიარების გარეშე“!. გაისმის ლაპარაკი, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი შეიარაღების განლაგებაზე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე! და რა, რუსებს შეეშინდებათ და გაიქცევიან. თუ, უფრო მეტ — „გრადებს, სმერჩებს, იგლებს, ტოჩკებს“ შემოიტანენ და ათასი სხვა სახის იარაღით დახუნძლავენ მათ მიერ ოკუპირებულ ჩვენს ტერიტორიას... მოვლენების ამგვარმა განვითარებამ შეიძლება კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანოს და საქართველომ თავისი ორი ისტორიული მხარე საბოლოოდ დაკარგოს!.. **ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ნატოს ალტერნატივა არა აქვს!. ვეთანხმები, თუ, საქართველო ოდესმე გაწევრდა რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში, ეს უნდა იყოს ნატო და არც ერთი სხვა, მაგრამ, თუ ნატოს წევრობა არ უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მაშინ, საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ასეთი ნაბიჯის გადადგმისაგან! ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ნატოს დავშორდეთ, პირიქით, თანამშრომლობა ნატოსთან უნდა გაგრძელდეს და ნატო-რუსეთის საბჭოს თანამშრომლობის ფორმატში, საქართველომ შეიძლება მიაღწიოს სასურველ შედეგს!** მით უმეტეს, რომ ნატოს ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ — „ნატო-რუსეთის ურთიერთობაში საქართველოს საკითხი დაბრკოლებად არ უნდა იქცეს!“ — „საქართველო ნატოს რუსეთთან ომში არ ჩაითრევს. ამის შესახებ The Washington Times-ისთვის მიცემულ ინტრვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა. — ამასთან, ბაქრაძის განცხადებით, „საქართველოს რეგიონებში რუსული ჯარების ყოფნა ნატოში საქართველოს გაწევრებას ვერ დააბრკოლებს“. — რას ნიშნავს ეს განცხადება? „ნაციონალები“ ხომ არ ვარაუდობენ, რომ საქართველოს ის ტერიტორია, რომელსაც აკონტროლებს ცენტრალური ხელისუფლება „შევიდეს“ ნატოში, ხოლო აფხაზეთი და ცხინვალი, რუსეთის „დაშლის შემდეგ შეიერთონ“! ადრე, ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, ამ „ვარიანტთან“ დაკავშირებით, რომ გერმანიაც ასე იყოო გაყოფილი და „მერე“ (სსრკ, რომ დაიშალაო, ანუ, რუსეთის „დაშლას“ უნდა ველოდოთო!) გაერთიანდაო (თითქოს, აფხაზებს და ოსებს „ერთი სული აქვთ“, რომ „შემოგვიერთდნენ“)!.. იმას კი არ უფიქრდებიან, გერმანიის შემთხვევაში, ერთი ერი იყო ორად გაყოფილი გარეშე ძალის მიერ, და არანაირი სეპარატიზმი გერმანიაში არ არსებობდა!. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნატოში „ამდაგვარი“ გაწევრება საქართველოს სამუდამოდ დააკარგვინებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების შანსს! ამას, უცილობლად მოჰყვება რუსეთის საპასუხო „ძალისხმევა“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარებისა“, ანტიამერიკული (ანტინატოური) სახელმწიფოების მხრიდან (ირანი, სუდანი, სირია, ჩრდ. კორეა და სხვა „კუნძულები“), რაც საბოლოოდ დაასამარებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივას და ქვეყნის გამთლიანების იმედს! ხოლო, სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობა 10 და მეტი სახელმწიფოს მიერ, შეიცავს საშიშროებას, რომ აფხაზეთი და ცხინვალი გახდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები! ეს კი ნიშნავს იმას, რომ თუ მომავალში ნატოს წევრი საქართველო (უაფხაზეთოდ და უცხინვალოდ!) მოინდომებს ძალისმიერი გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, თვით ნატო არ მისცემს ამაზე დასტურს და უფლებას! მოვლენების ასეთი განვითარება გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის საბოლოო გაყოფას, მის ქცევას რუსეთის (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) და ამერიკის (დანარჩენი საქართველო) სამხედრო ბაზებად! „ნაციონალი“ ლიდერები ცდილობენ, საზოგადოებაში ჩამოაყალიბონ ასეთი პოზიცია: თუ რუსეთის დემოკრატიზაცია არ მოხდა, მაშინ მასთან ლაპარაკს საერთოდ არ აქვს აზრი! ესე იგი, თუ არადემოკრატიული რუსეთი (პუტინი), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, დიალოგზე წამოვა ახალ ხელისუფლებასთან (სააკაშვილთან გამორიცხულია!), საქართველომ თურმე, უარი უნდა განუცხადოს?! მათი „ლოგიკით“, საქართველოს გამთლიანება დამოკიდებულია იმაზე, გატარდება თუ არა რუსეთში „დემოკრატიული რეფორმები“?! მოკლედ, **სააკაშვილი და მისი ხელისუფლება წარმოადგენს დაბრკოლებას ამ პრობლემის გადაწყვეტაში!** აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ ბიძინა ივანიშვილმა წარუდგინოს საქართველოს საზოგადოებას, დასავლეთს, დღეს ოკუპანტ რუსეთს (ხვალ კი, შესაძლო პარტნიორს), ამ ურთულესი საკითხების გადაწყვეტის მისეული, ალტერნატიული ხედვა, რომელიც გამორიცხავს დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების მცდელობას და ორიენტირებული იქნება მშვიდობიანი, გამჭვირვალე და ურთიერთნდობაზე დაფუძნებულ პარტნიორულ თანამშრომლობაზე! რაც ნიშნავს ეროვნულ ღირებულებებსა და ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირებულ დემოკრატიულ საზოგადოებას, ეფექტურ ეკონომიკას და სწრაფვას სახელმწიფოს მოდერნიზაციისაკენ. სწორედ ასეთი პოლიტიკური კურსი მიგვიყვანს იმ მიზნამდე, რასაც ეწოდება **ქართული ოცნება — თავისუფლება, გამთლიანება, განვითარება!**

***ბიძინა ივანიშვილს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ „გადატვირთვის“ პოლიტიკის ჭრილში, შესთავაზოს დასავლეთის ლიდერებს ახალი სტრატეგიული პროექტის რეალიზება. ეს იქნება პოლიტიკური გარღვევა არსებულ სტაგნაციურ მდგომარეობაში და იმავდროულად ქვეყნის მთლიანობის აღდგენის რეალური შანსი!***

**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი

# ანდერძის ფორმა

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ სტატიას „ანდერძით მემკვიდრეობა“ არაერთი მკითხველი გამოეხმაურა. მათი უმრავლესობა გვთხოვს განვუმარტოთ მოქმედი კანონის შესაბამისად, რამდენი სახის ანდერძი არსებობს და როგორია მათი ფორმა. სწორედ აღნიშნულ საკითხზე შევაჩერებთ დღეს თქვენს ყურადღებას.**

როცა ანდერძი ძალას იძენს, პირი (სამკვიდროს დამტოვებელი), რომლის ნებაც ანდერძშია გამოხატული, უკვე ცოცხალი აღარ არის. ამიტომ გარდაცვლილი პირის ნამდვილი ნების დასადგენად აუცილებელია ანდერძის შედგენისას მამკვიდრებელმა დაიცვას კანონით დადგენილი ანდერძის ფორმა. იმისათვის, რომ სარწმუნოდ იქნეს დადგენილი მოანდერძის „უკანასკნელი“ ნება, აუცილებელია კანონით გათვალისწინებულ შემდეგ ფორმათაგან ერთ-ერთის დაცვა: სანოტარო ფორმა, შინაურული ანდერძი და დახურული ანდერძი. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ანდერძის სანოტარო ფორმაზე, რადგანაც სწორედ ეს ფორმა უზრუნველყოფს მოანდერძის „უკანასკნელი ნების“ სარწმუნოდ დადგენას და არის როგორც მამკვიდრებლის, ასევე მემკვიდრის უფლებების დაცვის გარანტია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ბოლო წიგნში კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ანდერძის ზემოთ აღნიშნული სამივე ფორმა, რომელთაგანაც ერთ-ერთს უნდა მიმართოს პირმა, რათა დაცულ იქნეს მისი (მოანდერძის) ნამდვილი ნება და შედეგად მოხდეს მამკვიდრებლის ნამდვილი ნების სარწმუნოდ დადგენა. კონკრეტულად განვიხილოთ თითოეული ფორმა, რათა გავაკეთოთ ანალიზი, თუ რომელი ფორმა უზრუნველყოფს ზემოთ აღნიშნული მიზნის მიღწევას:

## 1. შინაურული ანდერძი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა, ანდერძთან დაკავშირებით არის ის, რომ ანდერძის შედგენა დასაშვებია ნოტარიულად დადასტურების გარეშე. მოანდერძეს შეუძლია თავისი სახელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას. ანდერძი, რომელიც თავისი ხელით დაწერა მოანდერძემ და ხელი მოაწერა სრული ძალის მქონეა მიუხედავად იმისა, რომ არ არის დადასტურებული ნოტარიუსის მიერ. ასეთი ანდერძი, როგორც წესი ინახება მოანდერძესთან და მას შინაურულ ანდერძს უწოდებენ.

**– როგორ უნდა შეინახოს მოანდერძემ ანდერძი, როცა იგი შინაურული წესით არის შედგენილი, რომ დაცული იყოს მოსალოდნელი დაკარგვის ან განადგურებისაგან?**

– თავისი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ანდერძი მოანდერძეს შეუძლია შეინახოს თავის სახლში ან შესანახად გადასცეს ახლობელს, მაგრამ ასეთ შენახვას თან სდევს მისი დაკარგვის, დაღუპვის, დოკუმენტების გაფუჭების საფრთხე. ანდერძის გადაცემა ნოტარიუსისთვის კი ათავისუფლებს მოანდერძეს აღნიშნული საფრთხისაგან, ამიტომ უმჯობესია ანდერძი (დალუქული კონვერტით) შესანახად მიენდოს ნოტარიუსს (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირს). ნოტარიუსისათვის კონვერტის გადაცემას უნდა ესწრებოდეს სამი მოწმე, რომლებიც ხელს აწერენ კონვერტზე.

შინაურული ანდერძის ტექსტი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებმაც უნდა დაადასტურონ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით. აუცილებელია მოწმეთა სახელის, გვარის და საცხოვრებელი ადგილის მითითება.

## 2. დახურული ანდერძი

მოანდერძის სურვილით მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ ისე, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს. ასეთ შემთხვევაში მოწმეები უნდა დაესწრონ ანდერძის შედგენას და მოანდერძის ხელმოწერის დადასტურებისას უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილი იყო პირადად მოანდერძის მიერ მათი თანდასწრებით, მაგრამ არ გასცნობიან მის შინაარსს. აღნიშნული სახით შედგენილ ანდერძს დახურული ანდერძი ეწოდება.

**– იქნებ აგვიხსნათ, აქვს თუ არა სამართლებრივად რაიმე მნიშვნელობა დახურული ანდერძის შედგენის ზუსტი თარიღის მითითებას?**

– დიახ, არის; უფრო მეტიც, ანდერძის შედგენის თარიღი ზოგჯერ ისეთ დიდ მნიშვნელობას იძენს, რომ შეიძლება მასზე მიუთითებლობამ ანდერძის ბათილობაც კი გამოიწვიოს. ანდერძის ბათილობას თარიღის არარსებობა იწვევს მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის, შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ ანდერძში მითითებული იყოს მისი შედგენის თარიღი.

მოკლედ განვიხილეთ რა ანდერძის ორი ფორმა, უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძი, რომლის შედგენაც ხდება ნოტარიუსის მონაწილეობის გარეშე, ნაკლებ ნდობას იმსახურებს. ნოტარიული ფორმა, რომელსაც დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით, წარმოადგენს პირისათვის გარანტიას, რომ მისი ნება გარდაცვალების შემდგომ ნამდვილად აღსრულდება და შესაბამისად მემკვიდრეების უფლებებიც შეულახავად განხორციელდება. ამგვარი ნდობა ამ ინსტიტუტისადმი გამომდინარეობს იქიდან, რომ ნოტარიუსი სახელმწიფოს წარმომადგენელია და მოანდერძის ნამდვილი ნების გარანტორად გამოდის. კანონმდებელი ნოტარიუსს სხვადასხვა ვალდებულებებსაც აკისრებს და განამტკიცებს მათ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, შესაბამისად, ის შეზღუდულია კანონით და ვალდებულია კეთილსინდისიერად აღასრულოს თავისი უფლებამოსილებები.

## 3. სანოტარო ფორმა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს სანოტარო ფორმით ან მის გარეშე, მაგრამ ყველა შემთხვევაში მოითხოვს, რომ ანდერძი შედგეს წერილობით. წერილობითი ფორმის ანდერძი შეიძლება ორი ფორმის იყოს – სანოტარო წესით დადასტურებული და სანოტარო დადასტურების გარეშე. ერთ შემთხვევაში ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე და ადასტურებს ნოტარიუსი (იქ სადაც ნოტარიუსი არ არის – თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანო), მეორე შემთხვევაში კი ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე ისე, რომ არ წარუდგენს ნოტარიუსს ხელმოწერის დასადასტურებლად. კანონი არ განსაზღვრავს თუ როდის უნდა შედგეს ანდერძი სანოტარო ფორმით და როდის უამისოდ. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოანდერძის ნებაზეა დამოკიდებული.

**– გთხოვთ განგვიმარტოთ, პრაქტიკულად როგორ ხდება სანოტარო ანდერძის შედგენა?**

– სანოტარო ანდერძი შეიძლება შედგეს ორი განსხვავებული წესით: 1. ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე, რასაც ადასტურებს ნოტარიუსი და 2. ანდერძს მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით. ნოტარიუსს შეუძლია ანდერძის ჩასაწერად გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები. მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმეების თანდასწრებით მოაწეროს ხელი.

აღსანიშნავია, რომ კანონი ითვალისწინებს თანამდებობის პირთა ფართო წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან დაადასტურონ ანდერძი. იმ შემთხვევისათვის, როდესაც პირს ობიექტურად არსებული მიზეზების გამო არ შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს, დაშვებულია ანდერძის დადასტურება თანამდებობის პირების მიერ. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1358-ე მუხლში.

კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც რაიმე მიზეზის გამო (ფიზიკური ნაკლი, ავადმყოფობა და ა. შ.) შესაძლოა მოანდერძემ თვითონ ვერ მოაწეროს ხელი ანდერძს. ასეთ შემთხვევაში, მისი თხოვნით ანდერძს ხელს მოაწერს სხვა პირი ნოტარიუსის თანდასწრებით. მოანდერძე აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ნოტარიუსთან ერთად სხვა პირის მიერ ანდერძზე ხელის მოწერას და აგრეთვე, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც თვითონ ვერ მოაწერა ხელი ანდერძზე.

თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია ან ყრუ-მუნჯი წერა-კითხვის უცოდინარი, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსმა ორი მოწმის და ისეთი მოწმის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას. ხოლო მოანდერძემ, რომელიც ბრმაა და არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით.

გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული ისეთი შემთხვევა, როცა ნოტარიუსმა არ იცის ის ენა, რომელზედაც ანდერძია შედგენილი. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ უნდა იქნეს მთარგმნელი, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო აღნიშვნა.

**– შეუძლია თუ არა ნოტარიუსს სანოტარო მოქმედების შესრულება მოანდერძის სახლში და თუ შეუძლია, რა შემთხვევაში?**

– როგორც წესი, სანოტარო მოქმედება სრულდება სანოტარო ორგანოს შენობაში. ცალკეულ შემთხვევებში სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს აღნიშნული შენობის გარეთაც, თუ პირს ავადმყოფობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია იქ გამოცხადება. მაგალითად, თუ მოანდერძე სიკვდილის პირასაა და არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება, ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას შეასრულებს (ანდერძს დაადასტურებს) მოანდერძის სახლში.

ნოტარიუსს ან სხვა პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, ასევე პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები, რომლებიც შეეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას. კანონმდებელი ამგვარი დანაწესით ნოტარიუსს ავალდებულებს, არ დაუშვას მოანდერძის ნების გამჟღავნება სამკვიდროს გახსნამდე, ანუ მის გარდაცვალებამდე. ნოტარიუსი აგრეთვე ვალდებულია, შეინახოს ანდერძი, გამოაქვეყნოს ის კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, გასცეს სამკვიდრო მოწმობა და დაიცვას სამკვიდრო. ნოტარიუსის აღნიშნული ვალდებულებები განმტკიცებულია „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს №2359 ბრძანებით.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტი – „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თაობაზე“, განამტკიცებს ანდერძის შენახვისა და გამოქვეყნების წესს, რომელიც დაწვრილებით მოცემულია IV თავში, კერძოდ 59-ე მუხლში.

**– თუ შეიძლება, აგვიხსენით, რამდენ ეგზემპლარად უნდა შედგეს ანდერძი და როგორია მისი შენახვის წესი?**

– ანდერძი დგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო მეორე გადაეცემა მოანდერძეს. ანდერძი უნდა იყოს დალუქული და კონვერტი უნდა გაიხსნას მხოლოდ მოწვეული მოწმეების თანდასწრებით. გამოქვეყნებული ანდერძი უნდა დარჩეს ნოტარიუსთან, რომელთანაც იგი ინახებოდა, ხოლო უფლებამოსილ პირს უნდა მიეცეს ანდერძის დამოწმებული ასლი.

აღსანიშნავია, რომ თუ ერთი პირის მიერ შედგენილია რამდენიმე ანდერძი, რომელთაგან ერთ-ერთი სანოტარო ფორმითაა შედგენილი, დანარჩენი კი – არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილს ეძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოანდერძემ პირველი ანდერძი სანოტარო ფორმით შეადგინა, შემდგომი კი სანოტარო ფორმის გარეშე, პირველი ანდერძი ძალაში დარჩება, რადგანაც ის არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება მოიშალოს მხოლოდ სანოტარო ფორმით შედგენილი შემდგომი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ანდერძი მეტ ნდობას იწვევს.

## დედამიწის ზურგზე



**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაიგეს აშშ-ის საიდუმლო გეგმის შესახებ: გაანადგუროს ირანში დაკარგული სამხედრო საიდუმლოებანი**

**ამერიკელი ჩინოვნიკები განიხილავენ სხვადასხვა გეგმებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ირანის ტერიტორიაზე სპეცდანიშნულების რაზმის შეგზავნას უპილოტო მზვერავი თვითმფრინავის საიდუმლოებათა ძიებისა და დაბრუნებისთვის. შეგახსენებთ, რომ თვითმფრინავი ჩამოვარდა მიმდინარე წლის 4 დეკემბერს. მალე ვაშინგტონმა უარი თქვა ამ იდეაზე სერიოზული კონფლიქტის პროვოცირების შიშით.**

* * *

**ავადმყოფი ტიმოშენკოს სასამართლოს მოაწყობენ პირდაპირ ციხის კამერაში**



**სასამართლო განიხილავს საკითხს მეორედ დაპატიმრების შესახებ უკვე საგამოძიებო იზოლატორში მყოფ უკრაინის ექსპრემიერთან დაკავშირებით. ამჟერად საქმე დაკავშირებულია მის მუშაობასთან კორპორაცია „უკრაინის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის“ სათავეში ყოფნის დროს. ტიმოშენკოს თანაშემწემ ისაუბრა იმის შესახებ, თუ რისთვის სჭირდებათ ეს, ხოლო მისმა ადვოკატმა სასამართლოს გადაწყვეტილებას „აბსურდი“ უწოდა.**

* * *

**ნატო მაისისთვის იკისრებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის უკვე გაშლილ ელემენტებზე ოპერატიულ მართვას**




**ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს. იქ გვარწმუნებენ, რომ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას დაამთავრებენ იმისდა მიუხედავად, მოსწონს თუ არა ეს რუსეთს. ამჟამად ბრიუსელში მიმდინარეობს ნატოს წევრი ქვეყნების თათბირი. განხილვის დღის წესრიგშია რუსეთთან თანამშრომლობის პერსპექტივები რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დარგში.**

* * *

**იაპონიის ატომური ელექტროსადგურის „მიხამას“ მეორე რეაქტორი გააჩერეს გაცივების სისტემაში გადინების გამო**

**ეს ატომური ელექტროსადგური ფუკუის პრეფექტურაშია განთავსებული, ტოკიოდან 320 კილომეტრში. რეაქტორის გაჩერების შემდეგ იაპონიაში არსებული 54 ენერგობლოკიდან მხოლოდ 9 მუშაობს.**



შემოქმედი




*1993 წლის 27 სექტემბერს, ალმოდებულ სოხუმში ჩემი სახლიც იწვოდა და მასთან ერთად ჩაიფერფლა უბედნიერესი მოგონებები. ომზე არანაკლებ მძიმე, დევნილობის წლებში, ფერფლიდან აღმსდგარი შემოქმედისთვის, მძლავრი იმპულსი ტკივილი გახდა. სიმღერა — „აფხაზეთო, დაბრუნებამდე“ — აფხაზეთიდან შორს, ტკივილით დაიბადა. ლამაზი, მღერი, დრამატიზმით სავსე სიმღერა, მისი ავტორი და შემსრულებელი კომპოზიტორი ია მაისაია — დაიმახსოვრა მსმენელმა. ამ სიმღერას სხვა სიმღერებიც მოჰყვა. მათ შორის ერთ-ერთი — „აფხაზეთო, საქართველოს მშვენებავ“ ჰიმნად იქცა.*

*ქართველი კომპოზიტორების მიერ აფხაზეთის თაობაზე შექმნილი ცნობილი სიმღერები და ია მაისაიას სიმღერების კრებული ორ ალბომად აიკინძა, რომელსაც თავფურცლად, აფხაზეთში დაბრუნების იმედიანი ფრაზა წააწერა: „ამ სიმღერებს, არაერთხელ შევასრულებთ აფხაზეთში!“*

# ამ სიმღერებს არაერთხელ შევასრულებთ აფხაზეთში

**— ქ-ნო ია, დევნილობა უმძიმესი ხვედრია, რომლის პირობებში ადამიანი ღირსეულს, საზოგადოებისთვის ფასეულს ვერაფერს ქმნისო ამბობენ, ომის შემდგომი წლების შემოქმედებითი წარმატებებით, თქვენ ამ აზრს აქარწყლებთ...**

— დევნილობის პერიოდში მუსიკა იყო ჩემი გადარჩენის მთავარი ფაქტორი, ე. წ. „ანტიდეპრესანტი“. მაქვს კლასიკური განათლება (დავამთავრე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია), ასე რომ, დიდ მუსიკასთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების აუცილებელი პირობა იყო.

**— როგორი იყო თქვენი პირველი შეხების წერტილები მუსიკის სამყაროში?**

— მშობლების თქმით ეს ჩვილობის ასაკიდან დაიწყო, როდესაც დედამ პირველად მიმღერა იავნანა. ენაც სიმღერით ავიდგი. ოჯახში ყველა მღეროდა. არც ერთი დღე არ მიცხოვრია უმუსიკოდ.

კონსერვატორიამდე, სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ პირველი სიმღერა კვარტეტ „იებთან“ შევასრულე (ხელმძღვანელი იყო ჯუმბერ ბეთაშვილი). ის სიმღერა 17 წლის ასაკში, სიყვარულმა დამაწერინა...

**— როგორ დაიბადა სიმღერა „აფხაზეთო, დაბრუნებამდე“. შეძლო თუ არა მან ენგურგაღმა გადაწევაც?**

— „აფხაზეთო, დაბრუნებამდე“ სოხუმელი ექიმის ჯუმბერ ჯოჯუას ლექსმა და ჩვენმა საერთო ტკივილმა დამაწერინა. ამ სიმღერაში მთელი ჩემი ემოციაა ჩადებული, მეხმაურებიან აფხაზეთიდანაც... აფხაზეთში ნაცნობი აფხაზის ოჯახში გასვენების შემდეგ ჩაურთავთ ჩემგან გაგზავნილი ვიდეოფირი, ისეთი მწუხრი ჩამომდგარა, წუთით მიცვალებულიც კი დავიწყებიათ. ღამის 1 საათზე აფხაზისგან ზარი გაისმა... ჭირისუფალი ტირილით მეუბნებოდა „Если все бы так любили Абхазию, как вы в этой песне любите, войны бы не было“. და მართლაც ომი გააჩაღა იმან, ვისაც არ უყვარდა აფხაზეთი და საქართველო!..

**— თქვენი ლამაზი დრამატიზმით სავსე სიმღერები შეიყვარა მსმენელმა. ერთ-ერთს „აფხეზეთო, საქართველოს მშვენებას“ — ჰიმნიც კი უწოდა...**

— ეს სიმღერა იმედითა და სიყვარულითაა გამსჭვალული, პატრიოტული მუხტიც აქვს და ჰიმნური ხასიათისაა, ასე აღიქვა იგი მსმენელმა და ალბათ ამიტომაც უწოდა ჰიმნი.

**— ესე იგი ჯერ იბადება სიმღერა და შემდეგ იქცევა ჰიმნად, არა?**

— სიმღერის ავტორი ვერ განსაზღვრავს რომელ სიმღერას აქცევს მსმენელი ჰიტად, ასევე შეიძლება სიმღერაში დაცული იყოს ის პირობა, რაც ჰიმნს მიესადაგება, მაგრამ მსმენელმა ის ჰიმნად ვერ აღიქვას.

**— გაიხსენეთ ახალგაზრდული წლების კონკურსი — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, თქვენ იქიდან დაგიმახსოვრათ მსმენელმა, მეც მათ შორის...**

— კონკურსები არ მიყვარდა და მახსოვს, ძალით მიმაღებინეს მასში მონაწილეობა (კომკავშირის მდივანი ვიყავი და გათავისუფლებით დამემუქრნენ). აფხაზეთში პირველი ადგილი ავიღე, რადგან კომპოზიტორის დიპლომი არ მქონდა, ჩემი სიმღერის შესრულების უფლება არ მომცეს. თბილისში, უბრალოდ ლაურეატობა მომანიჭეს და... დამიმახსოვრეს. ერთ კვირაში თბილისიდან ჩამოსულმა კომისიამ ჩემ გაკვეთილზე დასწრება მოითხოვა (კონკურსზე სამუსიკო სკოლის სახელით გამოვდიოდი), გაკვეთილი მოეწონათ და ჩემდა გასაკვირად ჩემი აღმასვლა აქედან დაიწყო. ასე რომ, სიმღერა არა მარტო ჩემი ცხოვრების, არამედ ჩემი წარმატების ნაწილიც იყო.

**— ვისი გენები გაქვთ, ვინ მღეროდა თქვენს ოჯახში?**

— მუსიკალური ოჯახი იყო, სტუმართმოყვარე, ჩვენთან სტუმრობა ყველას უხაროდა. მამა ყველა ინსტრუმენტზე უკრავდა, ბიძაჩემი კიწი გეგეჭკორთან მღეროდა, საერთოდ აფხაზეთში ფოლკლორული ანსამბლების ინსტიტუტი მაღალ დონეზე იყო, ანსამბლის წევრები ჩვენი ხშირი სტუმრები გახლდნენ. მამას მისი მეგობრები სიყვარულით — „კარუზოს“ ეძახდნენ. ოთხი წლიდან მამა ყოველ დაბადების დღეზე, ხმისჩამწერ სტუდიაში წამიყვანდა, სურათს გადამიღებდა და ორ სიმღერას ჩამიწერდა. ასე გრძელდებოდა 18 წლამდე. ამ ჩანაწერებს, როგორც რელიკვიას, ისე ვინახავდი, 27 სექტემბერს, სამწუხაროდ ეს ფირები, საოჯახო ფოტოები, სახლთან ერთად დაიწვა. ასე ჩაიფერფლა ჩემი უბედნიერესი წლების მოგონებები...

**— ომმა თქვენი, როგორც სიმღერების ავტორისა და შემსრულებლის შემოქმედება ორად დაყო, შესაბამისად სიმღერების შექმნის მოტივაციაც, ალბათ, შეიცვალა...**

სოხუმში საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მქონდა. უამრავი ღონისძიების ავტორი და შემსრულებელი ვიყავი. ჩემი რეპერტუარი ლირიული სიმღერებით შემოიფარგლებოდა, ალბათ ყველაფერს თავისი დრო და ბედისწერა აქვს. დღეს ტკივილი მაწერინებს. ეტყობა ეს უფრო მძლავრი იმპულსია, შესაბამისად გაფართოვდა ჩემი აუდიტორიაც. საოცარია, მაგრამ ტკივილიანი სიმღერების დამფასებლები უფრო მეტნი აღმოჩნდნენ. თუმცა ჩემს სიმღერებში არა მარტო ტკივილი და მონატრებაა, იმედიც არის.




**— თქვენ გამოუშვით ორი კრებული „სიმღერები აფხაზეთზე“ და „დაბრუნებამდე“, რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

— უხსოვარი დროიდან სიმღერაში ვაქსოვდი ნააზრევს, ნაფიქრალს, სატკივარს, სიხარულს. ვმღეროდით... და ამით გულს ვიოხებდით. კრებულში „სიმღერები აფხაზეთზე“ შევიდა 19 პოპულარული სიმღერა აფხაზეთზე, რომლებიც კომპოზიტორების მიერ დაიწერა 1992-1993 წლების მოვლენების შემდეგ, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ გიორგი ცაბაძის გაუჟღერებელი სიმღერა, რომელიც ივანე თარბას ლექსზე, ამ ორი შესანიშნავი ხელოვანის მეგობრობის ნიშნად არის შექმნილი. ამ სიმღერებს ერთი რამ აერთიანებს — საოცარი გულწრფელობა, რაც კომპოზიტორების მიერ შექმნილი მუსიკის განსაკუთრებული ღირსებაა. კრებულში შესულია საინტერესო ნოველები. ნოველების შერჩევის პროცესი დიდი არჩევანის გამო რთული იყო, მაგრამ ის ნოველები შევიტანე რამაც ჩემში დიდი ემოცია გამოიწვია. განსჯა კი თქვენთვის მომინდვია. იმედია საზოგადოება დაინახავს თუ რამდენად ნიჭიერი მწერლები ჰყავს აფხაზეთს. პროექტის ავტორი და შემდგენელი მე გახლდით. ამიტომაც მთელი სირთულეები, რაც წიგნის გამოცემისთვის მომზადდა, მე მარტოკამ გავიარე.

რაც შეეხება სიმღერების კრებულს „დაბრუნებამდე“ მივუძღვენი ჩემს შვილებს თეა და ნათია თოდუებს, ჩემი სიხარულისა და ტკივილის თანაზიართ. მეუღლე ვახტანგ თოდუა დამეღუპა. ჩვენ კი მონატრებითა და ნოსტალგიით აღსავსენი ვაგრძელებთ ცხოვრებას. შვილები საოცრად მუსიკალურები არიან, ოღონდ მომღერლობაზე იმთავითვე უარი განაცხადეს.

**— დაბრუნების შემთხვევაში რას წაიღებთ აფხაზეთში?**

— უკეთესი რა უნდა წავიღო? სიყვარულით სავსე გულსა და სიმღერებს. მეტი ჩემგან არც არაფერი ჭირდება აფხაზეთს.

**— რატომ ვერ ეგუებიან სოხუმელები იძულებით ადგილსამყოფელს?**

— „იძულებას“ მხოლოდ სულიერად დაბეჩავებულები, მონები ეგუებიან, სოხუმელებში კი ასეთი არავინ მეგულება.

**— როგორ ირჩევთ მეგობრებს?**

— საოცრად მაქვს განვითარებული ინტუიციის გრძნობა, ადამიანს არა მარტო ვიზუალურად, ფერითაც შევიგრძნობ. ჩემი მეგობრები ნათელ ფერებში არიან, გულწრფელები, მოყვარულები, ერთგულები. ვინც ავირჩიე ყველა შემრჩა და ყელას შევრჩი. ეს კი მგონი ცოტას არ ნიშნავს.

**— რაზე ოცნებობთ ბავშვობიდან?**

— ბავშვობიდან შეჩვეული ვიყავი იმ აზრს, რომ გავმხდარიყავი ექიმი. რამდენად სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ჯერაც ვერ გამირკვევია.

**სვეტლანა კვიკვინია**

*დღეს ქალბატონი **ია მაისაია** იუბილარია. ჩვენი რედაქცია გულითადად ულოცავს შესანიშნავ შემოქმედს დაბადების დღეს. ჯანმრთელობასთან ერთად ვუსურვებთ შემოქმედებით წინსვლასა და მშობლიურ აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებას.*

პარტიებსა და მოძრაობებში

# საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის მე-7 ყრილობა

ამა წლის 5 დეკემბერს გაიმართა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის მორიგი, მე-7 (34-ე) ყრილობა. ყრილობის გამართვის ადგილი და დრო სიმბოლურია. გაიმართა იგი კასპის ქუჩაზე, ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის შენობაში, სტალინური კონსტიტუციის 75-ე წლისთავზე.

ყრილობას დაესწრო 130-მდე დელეგატი და მოწვეული პირი საქართველოს ყველა რეგიონიდან.

დელეგატების სახელზე მისალმების წერილები მოვიდა მსოფლიოს 25-ზე მეტი ქვეყნის კომუნისტური და სხვა მოკავშირე პარტიებისაგან. მათ შორის არიან რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ინგლისი, ფინეთი, შვეცია, მექსიკა, ფილიპინები, სირია და სხვა. მილოცვის წერილი მოვიდა აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის კომუნისტებისაგან.

ყრილობამ ოცწლიანი ისტორია საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის გარეშე შეაფასა როგორც სამშობლოსათვის დამანგრეველი ისტორია! ქვეყანაში დღეს შექმნილი მდგომარეობა შეფასდა როგორც კატასტროფული, დღევანდელი ხელისუფლება კი როგორც ანტიხალხური.

კომუნისტებმა საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზად სოციალიზმის საფუძვლების აღდგენა გამოაცხადეს. ძირითად საგარეო მიზნად დასახულ იქნა რუსეთთან მეგობრობის აღდგენა და საქართველოს გაერთიანება ევრაზიულ კავშირში, როგორც სუვერენული და თანასწორუფლებიანი წევრისა. კომუნისტების აზრით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის აღდგენა — ეს არის მოსახლეობის შიმშილისაგან ხსნისა და ქვეყნის აღორძინების ერთადერთი რეალური გზა.

აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი 73 წევრის შემადგენლობით. სეკპ ცკ პირველ მდივნად არჩეულია ნუგზარ ავალიანი, პოლიტიკურ მდივნად — თემურ ფიფია.

ფეხბურთი

# ინგლისელთ ბედმა უმტყუნა



**მას შემდეგ, რაც ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი ახალი ფორმატით იმართება და ჩემპიონთა ლიგად იწოდება, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მესამედ დარჩა პლეი-ოფის მიღმა.**

სერ ალექს ფერგიუსონის გუნდის ქომაგთათვის, რასაკვირველია, ძნელია ამ არაორდინარულ ფაქტთან შეგუება, მაგრამ მათ, უნდათ თუ არა, თვალი უნდა გაუსწორონ სიმართლეს და აღიარონ, რომ გენიალურ შოტლანდიელ მწვრთნელთან ერთად ამ ერთ დროს უძლეველი არმადის ძირითადი ბირთვითაც დაბერდა, რასაც თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი და ტრავმების ეპიდემიაც დაერთო თან.

საპირისპირო სიტუაციაა ამავე ქალაქის მეორე წარმომადგენლის ბანაკში. მართალია, გრანდის მსგავსად, „სიტიც“ ფულის ტომრად გვევლინება, მაგრამ იგი ელიტური საზოგადოების ახალი ბინადარია და, ვარსკვლავთა სიჭარბის მიუხედავად, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სწორედ უმაღლეს დონეზე თამაშის გამოუცდელობის გამო ჩარჩა ჯგუფში.

აღსანიშნავია აგრეთვე რუსების დიდი წარმატება, რაც სახელმწიფო და კერძო სექტორების შეხმატკბილებული ძალისხმევის შედეგია და ჩვენი გაძვალტყავებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის გადამკიდენი, იძულებულნი ვართ ჟამთა სვლის იმედად ვიყოთ – ეგებ ოდესმე მოვესწროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში პროფესიონალთა აღზევებას.

**„ა“ ჯგუფი.** „ვილიარეალი“ – „ნაპოლი“ 0:2, „სიტი“ – „ბაიერნი“ 2:0.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ბაიერნი“ – 13, „ნაპოლი“ – 11, „სიტი“ – 10, ვილიარეალი“ – 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ინტერი“ – ცსკა 1:2, „ლილი“ – „ტრაბზონი“ 0:0.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ინტერი“ – 10, ცსკა – 8, „ტრაბზონი“ – 7, „ლილი“ – 6 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ბაზელი“ – „მანჩესტერი“ 2:1, „ბენფიკა“ – „ოცელული“ 1:0.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ბენფიკა“ – 12, „ბაზელი“ – 11, „მანჩესტერი“ – 9, „ოცელული“ – 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „დინამო“ (ზაგრები – „ლიონი“ 1:7, „აიაქსი“ – „რეალი“ 0:3.

**საბოლოო მდგომარეობა.** „რეალი“ – 18 (აბსოლუტურად საუკეთესო შედეგიძ, „ლიონი“, „აიაქსი“ – 8-8, „დინამო“ (ზაგრებიძ – 0 ქულა.

**ამრიგად, მერვედფინალში ითამაშებენ:** „ბაიერნი“, „ნაპოლი“, „ინტერი“, ცსკა, „ბენფიკა“, „ბაზელი“, „რეალი“, „ლიონი“, „ჩელსი“, „ლევერკუზენი“, „არსენალი“, „მარსელი“, „აპოელი“, „ზენიტი“, „ბარსელონა“ და „მილანი“.

რაც შეეხება ევროპის ლიგას, გაზაფხულიდან იქ გადაინაცვლებენ მესამეადგილოსნები: „სიტი“, „ტრაბზონი“, „მანჩესტერი“, „აიაქსი“, „ვალენსია“, „ოლიმპიაკოსი“, „პორტუ“ და „პლზენი“. მორიგი ეტაპის კენჭისყრა 16 დეკემბრისთვისაა დანიშნული.

* * *

უკვე გაუწყეთ, რომ დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ რაუნდში მოვლენები ზღაპრულად განვითარდა და „ზესტაფონმა“ იმერულ დერბიში ქუთაისის „ტორპედოს“ სძლია – 2:1 (პირველი მატჩი – 1:1ძ. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ორივე გოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაიტანეს, თანაც ორივე – რიკოშეტით.

**დაბოლოს:** ფეხბურთის მატიანეში დღემდე ყველაზე დრამატულად ითვლება 1999 წელს ბარსელონის „კამპ ნოუზე“ გამართული ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრა „მანჩესტერი – „ბაიერნი“, რომლის ბედიც ზუსტად ისე გადაწყდა, როგორც ყვირილას ნაპირებზე. როგორც ირკვევა, ისტორია თურმე ხანდახან მეორდება.

**დანარჩენი შედეგები:** „დილა“ – „ბაია“ 5:2 (2:2ძ, „მერანი“ (მარტვილიძ–„გაგრა“ 2:0 (0:4ძ, „ვიტ ჯორჯია“ – „მეტალურგი“ 1:2 (0:1ძ.





კალათბურთი

# ნავსი გატყდა

**იტალიის „კანტუს“ აქამდე ევროლიგის გასვლით შეხვედრებში არ უმართლებდა. სამივე მატჩი მძაფრ ბრძოლაში უკანასკნელ წუთებზე დათმო.**

ნავსი მეშვიდე ტურში გატყდა, როცა მანუჩარ მარკოიშვილისა და გიორგი შერმადინის კლუბმა ბასკთა ქვეყანაში „ბილბაოს“ მოუგო უმნიშვნელოვანესი დუელი – 67:64. თუ გავითვალისწინებთ, რომ აპენინელები საკუთარ სარბიელზე უდანაკარგოდ თამაშობენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი პლეი-ოფის საგზურსაც მოიპოვებენ.

„ჯვაროსანთა“ პირადი მონაგარი ასეთია: შერმადინი – 11 ქულა, მარკოიშვილი – 9 ქულა. აღსანიშნავია, რომ სტუმართა მწვრთნელებმა დასკვნითი შეტევების დაგვირგვინება ქართველ ცენტრალურ თავდამსხმელს მიანდეს და მანაც ზუსტი ტყორცნებით დაასრულა პარტნიორთა იერიშები, მათ შორის ერთი – ჩატენვით.



* * *

**სამწუხაროდ, ცივი შხაპი გადაესხა თბილისის „არმიის“ ქომაგთა იმედებს, რომ მათი საყვარელი გუნდი ვადამდე მოიპოვებდა პლეი-ოფის საგზურს.**

კოტე ტულუშის შეგირდებმა ეს უპირველესად საკუთარ თავს უნდა დააბრალონ სტამბოლის „ბეშიქთაშთან“ თითქმის მოგებული შეხვედრის ბოლო წამზე წაგებისთვის, თუმცა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ჰოლანდიის „ლეიდენის“ მიერ V ტურში გერმანიის „გეტინგენის“ ძლევამ – 80:71.

ასე რომ, სანუკვარი მეორე ადგილის ბედი 13 დეკემბერს გადაწყდება, როცა „ლეიდენი“ და „არმია“ ერთმანეთს ტიტების ქვეყანაში შეებმებიან. საამისოდ ქართული კლუბი 3 ქულაზე მეტი სხვაობით არ უნდა დამარცხდეს.

რაგბი

# მაჩხანელი ლელოთი დაბრუნდა

**საქართველოს ნაკრების გარემარბი ირაკლი მაჩხანელი ლელოთი დაუბრუნდა ფრანგულ საკლუბო რაგბს.** იგი მსოფლიოს თასზე მიღებულ ტრავმებს იშუშებდა. ახლა კი „სენტ ეტიენის“ სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და მეორე ტაიმში ლელოც გაიტანა, თუმცა მისი კლუბის გამარჯვებისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი – „სენტ ეტიენი“ 20:20 დაუზავდა „ბურგ ან ბრესს“.



ხელბურთი

# ფედერაციამ გამარჯვებულები დააჯილდოვა

**7 დეკემბერს, სპორტკომპლექს „არენაში“ 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა შორის თბილისის პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში თბილისის რაიონების გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებული კი „კრწანისი“ გახდა.**

გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი დოლაბრელიძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი სამყურაშვილმა დააჯილდოვეს.



ამ ასაკის ხელბურთელთა შორის ტურნირების ჩატარებას და სელექციას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე სწორედ 1998-1999 წლებში დაბადებული ახალგაზრდები ითამაშებენ.

**ირაკლი სამყურაშვილი:** მსგავსი ტურნირების ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სელექციის შემდეგ შერჩეული ხელბურთელები საქართველოს ნაკრებს დააკომპლექტებენ, რომელიც 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალისთვის მოემზადება და იქ საქართველოს სახელით ითამაშებს.

ინტერნეტიდან

## ნოემბრის სიმბოლური ნაკრები

**ევროპის სპორტული გამოცემების ასოციაციამ (ESMძ, ტრადიციულად გამოაქვეყნა ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით შედგენილი ფეხბურთში ევროპის ნოემბრის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა. აი, ვინ მოხვდნენ მასში: კასილიასი** („რეალი“ – 4 ხმაძ, **სერხიო რამოსი** („რეალი“ – 6ძ, **ვან ბუიტენი** („ბავარია“ – 3ძ, **კომპანი** („მანჩესტერ სიტი“ – 5ძ, **ლიხტშტაინერი** („იუვენტუსი“ – 4ძ, **როისი** („ბორუსია“ – 5ძ, **ხავი** („ბარსელონა“– 4ძ, **პირლო** („იუვენტუსი“ – 3ძ, **ვან პერსი** („არსენალი“ – 8ძ, **კრიშტიანუ როლანდუ** („რეალი“ – 8ძ, **მესი** („ბარსელონა“ – 7ძ.



## რიანამ იმიჯი გამოიცვალა

**კლუბის „ლოს-ანჟელეს დოჯერსის“ ბეისბოლისტის მეტ კემპის ყოფილმა გულისვარდმა, მომღერალმა რიანამ ახალი კლიპის გადასაღებად კიდევ ერთხელ შეიცვალა იმიჯი. ამჟამად მან პლატინისებური ქერა ქალის სახე მიიღო. მორიგი ვიდეოს გადაღება ლონდონში გაიმართა წინა კვირაში.**

23 წლის მომღერალმა ჯერჯერობით უარი თქვა თავის წაბლისფერ კულულებზე და პარიკი დაიხმარა.

რიანას ახალი ნამუშევრის პრემიერა მიმავალი წლის ბოლოსაა დაგეგმილი. მისი მეექვსე სტუდიური ალბომი Talk That Talk უკვე პირველობს ატლანტიკის ორივე მხარეს.

ჩვენი კარაბადინი

# სიფრთხილე არ გვავნებს

**დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წამალი — ეს არის საშუალებები იმუნიტეტის ასამაღლებლად. ადამიანების უმრავლესობას ისინი მიაჩნია, როგორც ჩვეულებრივი ვიტამინები, რომ ეს პრეპარატები აბსოლუტურად უვნებელია და სასარგებლოა ყველასთვის. მაგრამ ასეა ეს?**

### იმუნიტეტი კი წესრიგშია

**ბევრი მცოდნე ექიმი დარწმუნებულია: ვიდრე ავადმყოფს იმუნომოდულატორებს დაუნიშნავდეს, ექიმს აუცილებლად უნდა:**

- ჰქონდეს ხელთ ავადმყოფის იმუნური სტატუსის გამოკვლევა,
- ჰქონდეს საფუძველი პრეპარატის სარეკომენდაციოდ, რომელიც დადასტურებული იქნება კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემებით,
- იცნობდეს ასეთი პრეპარატების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების კრიტერიუმებს.

სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინათ იმ ბავშვების ჯგუფის დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ, ვინც ხშირად ავადმყოფობს, გამოირკვა, რომ მათგან მხოლოდ ნახევარს აქვს იმუნიტეტის დარღვევები. 40 პროცენტს აღმოუჩინეს ბრონქული ასთმა, 10 პროცენტში კი დაავადებანი დაკავშირებული იყო სასუნთქი სისტემების აგებულების თავისებურებებთან.

**სხვათა შორის**

**ის პრეპარატები, რომლებსაც იმუნოლოგიაში იყენებენ, შექმნიდან სულ რაღაც 10-15 წლისანი არიან. ამიტომ მათი უსაფრთხოების შორეული გამოკვლევანი ჯერ არ მომხდარა. მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია, რომ უცხოეთში დღეს უკვე დახურეს კიდეც რამდენიმე იმუნომოდულატორის წარმოება, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ იწვევენ აუტოიმუნურ დაავადებათა პროვოცირებას. ამიტომ იმუნომასტიმულირებელი პრეპარატების გამოყენება ფრთხილადაა საჭირო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაინიშნოს ისინი დამოუკიდებლად.**

### ანტიბიოტიკები: სარგებელი თუ ზიანი?

**ვირუსების წინაშე ანტიბიოტიკები სრულიად უძლურები არიან. სწორედ ამიტომ ამ პრეპარატებს საწინააღმდეგო მაჩვენებლები აქვთ მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების ან გრიპის, ჰეპატიტის და ზოგიერთი სხვა მწვავე ინფექციური დაავადებების დროს.**

მაგრამ თუ მწვავე რესპირატორულ ვირუსულ ინფექციებს მიუერთდა მეორადი ინფექცია, თუ წარმოიქმნა ბაქტერიული პნევმონიის საფრთხე, ანტიბიოტიკები აუცილებელია, რათა დავიცვათ ავადმყოფი გართულებებისგან.

თუმცა ამისთვის ექიმს უნდა ჰქონდეს სერიოზული საფუძვლები. ანტიბიოტიკები შეიძლება დაინიშნოს, თუ უეცრად დაბრუნდა მაღალი ტემპერატურა მას შემდეგ, რაც იგი რამდენიმე დღის განმავლობაში ნორმალური იყო. ან ძლიერდება ხველება, გაჩნდა ქოშინი — ესე იგი სახეზეა სიმპტომები, რომლებიც ბაქტერიულ ინფექციებზე მეტყველებენ.

### რა დაინიშნოს?

**ინფექციური დაავადების დროს ექიმები როდესაც დიაგნოზს სვამენ, ყველაზე ხშირად ნიშნავენ ერთ-ერთ პრეპარატს, რომელიც გამოიყენება სწორედ ამ დაავადების სამკურნალოდ. მაგრამ სანამ „პრინციპულ არჩევანს“ გააკეთებდეს, ექიმმა უნდა იცოდეს: ხომ არ გაქვთ ალერგია (და რაზეც კონკრეტულად), ქრონიკული დაავადებანი, რომელი ანტიბიოტიკებით მკურნალობდით ადრე და როდის.**

საქმე ისაა, რომ ბაქტერიები ძალიან სწრაფად გამოიმუშავებენ პრეპარატისადმი მდგრადობას, და მეორედ გამოყენების დროს იგი ველარ უმკლავდება მათ. ამიტომ ასეთ სიტუაციაში უმალვე ნიშნავენ მეორე თაობის ანტიბიოტიკისა, რომელსაც აქვს მოქმედების უფრო ვრცელი სპექტრი. პრეპარატის ეფექტიანობას აფასებენ მკურნალობის დაწყებიდან სამი დღე-ღამის განმავლობაში. თუ უკეთესობისკენ ძვრები არ შეინიშნება, ანტიბიოტიკს აუქმებენ და ნიშნავენ მეორეს.

**უნდა ვიცოდეთ**

**ანტიბიოტიკის რძით დალევა არ შეიძლება — ამის გამო ირღვევა კუჭნაწლავში წამლის შეწოვის პროცესი. რომ შევამციროთ თანმდევი რეაქციები, წამლის მიღების წინ შეიძლება დავლიოთ ნახევარი ჭიქა კისელი, ის ბურავს კუჭნაწლავს, იცავს მის სასარგებლო მიკროფლორას, მაგრამ ხელს არ უშლის პრეპარატის შეწოვას.**

ЗДОРОВЬЕ

სანთელი

# მიხეილ (მიშიკო) კიკაბიძე



იშვიათია გარშემომყოფთათვის ისეთი დიდი სიკეთის მთესველი ადამიანი, როგორიც მიშიკო კიკაბიძე იყო. სხვანაირად არც შეეძლო იმისთანა მამისა და ბიძის გაზრდილს, რომელთა სახელებსაც დღესაც მოწიწებითა და სიყვარულით იხსენიებენ ჩვენს სოფელში. სწორედ ამ ორი საფიცარი ადამიანის ტრადიციებს აგრძელებდა იგი. არადა ძალიან ძნელია ყველასთვის და ყველასგან გამორჩეული იყო. სიკვდილსაც, ჩანს, კარგი ადამიანის გამორჩევა უყვარს, და სრულიად მოულოდნელად გამოგვაცალა შენი თავი, ჩვენო საიმედო და საყვარელო კაცური კაცო. იქნებ სწორედ განგების წიგნი გქონდა წაკითხული და ამდენი სიკეთის ქმნას ამიტომაც ეშურებოდი.

ალარა გვყავს დიდ სამეზობლოსა და სამეგობროს ჩვენი კუთხის, სოფელ მარნის იმედი მიშიკო კიკაბიძე. მწარეა იმის გაფიქრება, რომ ველარ გავიგონებთ შენს ომახიან შეძახილს, ყოველ დილას რომ ჩვეული სიყვარულით აღვიძებდი სოფელს. ცხოვრება, შენს სათნო ღიმილსა და დარდიმანდულ ვაჟკაცობასთან შეზავებული, გაგრძელდება ისევ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

მეზობლები და მეგობრები.

მეგობრის ხსოვნას

# გივი (ბუჭუ) ხუსკივაძე



ძნელია დაიჯერო, რომ ამ აუტანელ, სასტიკ, დაუნდობელ სამყაროში ცხოვრობდა ადამიანი, რომელიც სავსე იყო მხოლოდ სიკეთით, მხოლოდ გულისხმიერებით, მხოლოდ სიყვარულით, ადამიანი, რომელიც თავისი გრძელი ცხოვრების მანძილზე არასოდეს გაბოროტებულა, არავინ სძულებია, არასოდეს განრისხებულა ავის მთქმელსა და ცოდვის ჩამდენზეც კი, არავისთვის მიუზღავს სამაგიერო.

ასეთი ადამიანი ცნობილი მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი გივი (ბუჭუ) ხუსკივაძე გახლდათ. ის ჩვენი ბავშვობის მეგობარი იყო და იმდროიდან გვახსოვს, როგორც უჩვეულოდ კეთილი და დიდსულოვანი პიროვნება. ერთ ფაქტს გავიხსენებთ: სკოლაში ერთმა თავხედმა ბიჭმა ჩხუბი წამოიწყო, უხეშად შეუტია გივის, ხელითაც შეეხო, გივიმ დარტყმას დარტყმით კი არ უპასუხა, არამედ თავისი მძლავრი მკლავებით შებოჭა იგი და ასე ჰყავდა ჩაბღუჯული, ვიდრე ერთ-ერთმა ჩვენგანმა არ „გამოიხსნა“ ხელიდან და გვარიანადაც არ მიბეგვა მოძალადე. გივის კი, ჩვენდა გასაკვირად, შეეცოდა დაჩაგრულ მდგომარეობაში მყოფი თანატოლი და თვითონვე გადაეფარა დასაცავად.

ღვთიური გრძნობა — სიყვარული უხვად მოედინებოდა მისი ნათელი პიროვნებიდან და ერთიანად ათბობდა, ალავსებდა ყველას - დამსახურებულსა და დაუმსახურებელს, უპირველეს ყოვლისა კი ცხადია, საკუთარ ოჯახს, განსაკუთრებით კი მეუღლეს - მეცნიერსა და პედაგოგს, ჩვენთვის ყველაზე ფასეული დარგის, მშობლიური ლიტერატურის მკვლევარს - ლაურა გრიგოლაშვილს, შესანიშნავ შვილებს - ალექსანდრესა და მიხეილს, სამ პატარა ანგელოზს, შვილიშვილებს - ანას, სალომეს, მარიამს და მათ უმშვენიერეს დედას - ნინოს.

ბრწყინვალე მოსწავლე, წარჩინებული სტუდენტი, შესანიშნავი მეცნიერი - თავის წარმატებებზე არასოდეს ამახვილებდა ყურადღებას. მისგან არ გვსმენია დღეს ასე მიღებული თავმომწონე საუბარი: მე გავაკეთე, მე შევქმენი, მე აღმოვაჩინე... მის ფრიად მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებზე სხვები საუბრობდნენ და ისაუბრებენ, უცხოელები წერენ და აფასებენ. ჩვენ ახლა ამაზე არ ვამახვილებთ ყურადღებას. ასეთები, საბედნიეროდ გვყავანან და კიდევაც გვეყოლებიან. სამეგობროსა და ახლობლების ხსოვნაში ჩვენი გივი დარჩება, როგორც ძალზე მშვიდი და აუღელვებელი, პრინციპების ერთგული, ყველგან სიკეთის მთესველი, ყველასთვის საიმედო ადამიანი.

კარგი მთხრობელი და კიდევ უფრო უკეთესი მსმენელი, ღრმა შრეების წვდომის გამორჩეული უნარით დაჯილდოებული, შესანიშნავად ერკვეოდა ისტორიის, ფილოსოფიის, ხელოვნებისა და მუსიკის ფაქიზ საკითხებში. თეატრის დიდი მოტრფიალეც იყო. ჩვენი მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს თბილისში არ დადგმულა არც ერთი სპექტაკლი, არც ერთი საოპერო წარმოდგენა მას რომ არ ენახა და არ გაეანალიზებინა ჩვენთან ერთად.

მშვიდი იყო, მაგრამ არა გულჩათხრობილი. იყო დამთმობი, მაგრამ არა უპრინციპო. ვაჟკაცურად უძლებდა დიდ ტკივილსაც და უკან დახევა არ იცოდა სამართლიანობისათვის ბრძოლაში. ყველა უყვარდა. უყვარდა მეგობრებთან ყოფნა. არც პურობა და ღვინით მოლხენა იყო მისთვის უცხო. კარგად ლაღობდა და კარგადაც მღეროდა. აბსოლუტური სმენა და ხავერდოვანი ბანი ჰქონდა. მისი და კოზა კვანტალიანის შეწყობილი სიმღერის მოსმენა დიდი სიამოვნება იყო.

ასეთი იყო ჩვენი ბუჭუ. ახლა ალბათ დასცქერის ჩვენს ნაწერს და ბუნებით ძალიან მორიდებული, გვსაყვედურობს: კარგით, საკმარისია, შეჩერდით. ჩვენ კი ვერ ვჩერდებით. ვერ ვწყდებით მისი გულიდან მომდინარე სითბოს, რომელიც განსაკუთრებულად გვჭირდება ახლა და ვაი, რომ მალე შემოგველევა... თუმცა, ვინ იცის, იქნებ გვეყოს კიდეც, ჩვენც ხომ ამ წუთისოფელში ძალიან ცოტა დაგვრჩა გასავლელი...

მეგობრები: ნოდარ კეკელიძე, გურამ არეშიძე, მიხეილ ბურძგლა, შალვა გაწერელია, რობერტ დადიანი, თეიმურაზ ხოფერია, ნოდარ ჯორბენაძე, ანატოლი ქავთარაძე, მამია ბახტაძე.

რუსუდან პიტავა, მარინა კანდელაკი, შალვა მგალობლიშვილი, თემურ ბრელიძე ღრმა მწუხარებას გამოხატავენ საყვარელი ადამიანის

**მიხეილ (მიშიკო) კიკაბიძის**

მოულოდნელიგარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

---



გურამ და რუსუდან პიტავები, ნატო იმერლიშვილი, ივერი შალამბერიძე ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

**ანზორ შალამბერიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეები ოჯახით იუწყებიან

**ანზორ შალამბერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს გურამ და რუსუდან პიტავებს ბიძაშვილის

**ანზორ შალამბერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ ივერი შალამბერიძეს ბიძაშვილის

**ანზორ შალამბერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჟანა და იური სალიები, თამარ ლაშაბერიძე, მარინა კანდელაკი, შალვა მგალობლიშვილი, თემურ ბრელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ რუსუდან, გურამ პიტავებსა და ბატონ ივერი შალამბერიძეს ბიძაშვილის

**ანზორ შალამბერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ რუსუდან პიტავას და ბატონ ივერი შალამბერიძეს ბიძაშვილის

**ანზორ შალამბერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

მერაბ, მაია და თამაზ ვაჩნაძეები თანაუგრძნობენ დათო ყოლბაიას დედის, ქალბატონ

**ნათელა ფარულავას**

გარდაცვალების გამო.



სვეტა, შალვა, ბიძინა, ლევან მგალობლიშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ადამიანის

**ნინო შოთას ასული გაგუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სვეტა, შალვა მგალობლიშვილები იუწყებიან

**ბადრი იობაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

◉ მიმართვა მკითხველისადმი

# ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ გაჯიხურებულ-გაჯახირებული ხელისუფლებისგან

დღეს, როცა ხელისუფლება საგაზეთო ჯიხურებს დაერია და ბეჭდური მედიის გავრცელება სრულიად გამიზნულად(!!!) კიდევ უფრო შეიზღუდა, განსაკუთრებული ფასი დაედო გაზეთებზე ხელმომწერთა სიმრავლეს.

ტრადიციული პრესის, თქვენთვის სასურველი ნებისმიერი გაზეთის ბედი ახლა თქვენს აქტიურობასა და თანადგომაზეა დამოკიდებული. ყველაფერთან ერთად, ეს ჩვენი საერთო პრესტიჟის საქმეცაა – ქართული პრესის მოძულე ხელისუფლება ოპოზიციური, პრინციპული, სამართლიანი გაზეთების დამცრობა-გაკოტრებით არ უნდა გავახაროთ!



მრავალრიცხოვანი ხელმომწერი, ბევრი გონიერი მკითხველი ჩვენი სულიერი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ თითქმის საუკუნოვანი (გამოდის 1918 წლიდანძ გამოცემაა და თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ღირსებისა და ცნობიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთია!

იგი ჩვენი უახლოესი წარსულისა და დღევანდელობის მართალი მატიანეა.

პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა და სპორტი, ღირსეულ ადამიანთა პატივგება, სატირა და იუმორი... „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ყველაფერია, რაც კი ჟურნალისტის კალამმა შეიძლება შექმნას.

განსაკუთრებული ჟამი გვიდგას. ამიტომაც, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოგიწერიათ „საქართველოს რესპუბლიკა“, შეგახსენებთ, რომ 2012 წლისთვის უამგაზეთოდ არ დარჩეთ. თითოეულ ქართულ ოჯახს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სკო-

საქართველოს რესპუბლიკა

ლებს, ყველას, შეუზღუდავად შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი და მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ითანამშრომლოთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“.

შეგახსენებთ იმ გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მათს ტელეფონის ნომრებს, რომლებიც დაუბრკოლებად გამოგიწერენ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: მაცნე – 2 37 61 53; პლანეტა ფორტე – 2 93 38 75; საქპრესა – 2 51 59 05; პრეს-ექსპრესი – 2 96 23 11; ჯეომედია – 2 95 51 70; ელვასერვისი – 2 38 80 02; ინფო-2007 – 2 34 11 40; პრესა+ – 2 14 23 97; პილონი – 2 34 77 43.

რაიონებში ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ პრესის გამავრცელებელ ნებისმიერ ორგანიზაციაში.

ხელმოწერის ფასია 10 ლარი – ერთი თვით, 30 ლარი – სამი თვით, 60 ლარი – ექვსი თვით, 120 ლარი – ერთი წლით.

ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ და გაზეთი ავალორძინოთ!

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – თქვენი უპირველესი მეგზური და მეგობარი!

ხელმოწერა დაუბრკოლებლად შეგიძლიათ გააფორმოთ უშუალოდ რედაქციის ოფისში – გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელეფონი: 2 99 62 77.

**ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი**

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

**ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 599 32-85-76.

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● საფრანგეთის მონარქიის დამხობის შემდეგ, საფრანგეთის მეფე ლუი XVI მეუღლეს მარია-ანტუანეტას გილიოტინაზე მოკვეთეს თავი.

● ფიდელ კასტროს ცხოვრებაში ოფიციალურად სამი ქალი ჰყავდა, ხოლო არაოფიციალურად ასამდე ქალთან ჰქონდა რომანი. ფიდელს ოფიციალურად შვილად აღიარებული ჰყავს შვიდი ბავშვი, ხოლო არაოფიციალური მონაცემებით კი მათი რაოდენობა დაახლოებით სამოცია.

● XVIII საუკუნის 40-იან წლებში ცენზორმა გედეონმა აკრძალა ორი პიესა ცუდი რუსული ენისა და ხშირად გამოყენებული უწმაწური სიტყვების გამო. ორივე პიესის ავტორი იმპერატორი ეკატერინე II იყო.

● სიტყვებს: რეგლანი, გობელინი, სილუეტი, გროგი, მანსარდა, ბოიკოტი, მაკენტოში ერთმანეთთან აკავშირებს ის, რომ ყველა მათგანი გვარია იმ პირებისა, რომლებმაც ისინი შექმნეს ან შემოიღეს.

● ფრანგი ფერმწერი გოგენი ახალგაზრდობაში მეზღვაური იყო, 1871 წლიდან კი ბირჟის მაკლერობა დაიწყო.

● ოქროს ურდოს უზბეკმა ხანმა ივან კალიტას ოქროს ქუდი აჩუქა, რომელიც დღემდეა შემონახული და მას მონომახის ქუდი ჰქვია.

● შვედმა გამომგონებელმა ალფრედ ნობელმა გადაწყვიტა, პრემია დაეწესებინა განსაკუთრებული მიღწევებისათვის მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ლიტერატურისა და მშვიდობის განმტკიცების დარგებში, მაგრამ კანდიდატთა სია რომ წაიკითხა, მათ შორის აღმოჩნდა მაგნუს მიტაგ-ლეფევრი, რომელიც სძულდა. შედეგად, ეს მეცნიერი სიიდან ამოვარდა და მასთან ერთად მათემატიკური მეცნიერებაც.

● ფარაონ ტუტანხამონის საფლავში, რომელიც 33 ათასწლეულის წინ ცხოვრობდა, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ზურმუხტის ორი უთხელესი ფირფიტა, რომლებიც ერთმანეთთან ბრინჯაოს ჩარჩოთი იყო მიმაგრებული და ძალიან ჰგავდა სათვალეს.

● მონღოლების რწმენით კარგი ამბავი მხოლოდ სამხრეთიდან მოდიოდა, რის გამოც იურთის კარი ყოველთვის სამხრეთისკენ ჰქონდათ მიქცეული.

● ებრაული ლეგენდის თანახმად, როდესაც ნოემ ვაზი დარგო, ჯერ ჩიტის სისხლით მორწყო, შემდეგ ლომის, ბოლოს კი ღორის, ამიტომაც როცა ადამიანი სვამს, ჯერ ჩიტივითაა, შემდეგ ლომივით, ხოლო ბოლოს კი ღორივით.

● ლეგენდის თანახმად, სამოთხე იაპონელებმა ფორთოხლის გამო დატოვეს, არაბებმა – თუთის, ხოლო ჩვენ ვაშლის გამო.

● ყველა წარმატებული მამაკაცის ზურგს უკან ჭკვიანი ქალი დგას.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

– რა ღირს ეს პირსაპარსი? – კითხულობს სვანი.

– ცოტა ძვირი კი არის, მაგრამ, დამიჯერეთ, ღირს – პარსვისას მისი დანის პირები ილესება.

– გაგონილა, კაცო? – გაბრაზდა მყიდველი, – თან ჩემს წვერზე თავიანთი პირსაპარსით დანა ალესონ და თანაც ძვირად გაყიდინონ!?

* * *

– დედი, გინდა, რომ ეს ახალი წლის ღამე სახლში გავატარო?

– რა თქმა უნდა, შვილო!



– მაშინ 31-ში სადმე წადი.

* * *

– პროფესორო, აქ რა დამიწერეთ? – ეკითხება სტუდენტი.

– მაჩვენე ერთი, ვნახო... – გამოართვა პროფესორმა ნაწერი და ორიოდ წუთის შემდეგ ეუბნება, – აქ დამიწერია: „გარკვევით დაწერეთ!“

* * *

ჩვენი ქვეყნის პრობლემა ის არის, რომ ნდობის კრედიტი, რომელსაც არჩევნების წინ მოსახლეობისგან იღებენ, უკან არასოდეს არ დაუბრუნებიათ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24